# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№167 (9998) 2025 წლის 19 დეკემბერი, პარასკევი


# საბჭოთა „მონობამ“ ჩვენი სული ვერ მოკლა, ლიბერალურმა „თავისუფლებამ“ კი სულიერად დაგვასაჭურისა!..

## კულტურული რენესანსი „მონობაში“



იხ. 3 გვ.



9

ტარიელ ხარხელაური

## თანამედროვე ქართული პოეზიის ხევისბერი




10

## ხვიჩა კვარაცხელია – მეტოქეთა რისხვა სამი ფილტვით




იხ. 5 გვ.

## ევროპა „ქართულ ოცნებას“ რატომ ვერ აშანტაჟებს

## მტრისას, მეორე ფრონტი რომ გაგვეხსნა!




იხ. 4 გვ.



7

## ცალანთა საგვარეულო მატიანე

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

# საქართველოსა და სერბეთის პრეზიდენტების შეხვედრა ახალი გეოპოლიტიკის ფონზე



**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა სერბეთის პრეზიდენტთან ალექსანდარ ვუჩიჩთან დელეგაციების მონაწილეობით გაფართოებული ფორმატის შეხვედრა გამართა.**

მხარეებმა საქართველოსა და სერბეთის რესპუბლიკას შორის ორმხრივი, მათ შორის დარგობრივი თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები და მათი გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს. აღინიშნა, რომ ქვეყნებს შორის ორმხრივი ვაჭრობა ზრდის ტენდენციით გამოირჩევა, თუმცა ამ მხრივ გაცილებით მეტი შესაძლებლობები არსებობს.

**მხარეებმა აღნიშნეს, რომ მიესალმებიან მაღალი დონის ვიზიტების გააქტიურებულ დინამიკას. როგორც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა განაცხადა, პრეზიდენტის დონეზე განხორციელებული პირველი ვიზიტი საქართველო-სერბეთის ურთიერთობებსა და ორმხრივ დიალოგს დამატებით იმპულსს შესძენს.**

შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეგიონულ თანამშრომლობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასევე ახალი გეოპოლიტიკური რეალობის ფონზე შუა დერეფნის გაზრდილ მნიშვნელობას.

საქართველოს და სერბეთის პრეზიდენტებს შორის გაფართოებული ფორმატის შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი **მაკა ბოჭორიშვილი,** საქართველოს პარლამენტის დეპუტატები – **ირაკლი მეზურნიშვილი, ირმა ზავრადაშვილი, გურამ მაჭარაშვილი,** საქართველოს ელჩი სერბეთის რესპუბლიკაში **ლევან ბერიძე** და საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## შალვა პაპუაშვილი: ევროკავშირმა იმედი გაუცრუა ქართველ ხალხს!

**მნიშვნელოვანია, რომ სულ უფრო ხმამაღლა ისმის ევროპარლამენტში ევროპელი პატრიოტების ხმა, მათი ხმა, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, არ დაიკარგოს ევროპული იდენტობა და ევროკავშირი ეფუძნებოდეს ევროპულ ღირებულებებს,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** განაცხადა.

**„ჩვენ ეს გუშინ თვალნათლივ დავინახეთ, როდესაც პირდაპირ ჩავხედეთ იმ ცივილიზაციურ უფსკრულს, რომლისკენაც ბრიუსელის ბიუროკრატია მიაქანებს დღეს ევროკავშირს. ვინმეს თუ აინტერესებს, რა არის ევროპის ცივილიზაციური უფსკრული, შეუძლია, ნახოს ევროპარლამენტის გუშინდელი სხდომა და ეს არის სრული ვიზუალიზაცია ცივილიზაციური უფსკრულისა, სადაც ევროპარლამენტის ეს პოლიტიკური ნაწილი დღეს იმყოფება. ჩვენ ვიხილეთ კომბინაცია იმ ყველაფრისა, რაც ევროპის ბნელი წარსულიდან მომდინარეობს. ეს არის ზიზღი, ეს არის ცივილიზაციური ქედმაღლობისა და აღმატებულობის პოზა, რომელსაც გუშინ ვუყურებდით. ეს არის ტყუილი, პროპაგანდა, დეზინფორმაცია და ეს ყველაფერი ევროპარლამენტის ტრიბუნიდან იყო გაჟღერებული“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**

შალვა პაპუაშვილის განმარტებით, ევროკავშირის ინსტიტუტების მიმართ იმედგაცრუება აქვთ როგორც ევროკავშირის მოქალაქეებს, ისე ქართველ ხალხს, რომელიც წევრობისკენ ისწრაფვის და ამავდროულად, ევროპული ღირებულებების შემოქმედია.

**„რა თქმა უნდა, ეს არის ყველაზე დიდი იმედგაცრუება, რაც, უპირველეს ყოვლისა, ევროკავშირის მოქალაქეებს აქვთ ევროკავშირის ინსტიტუტების მიმართ, რომლებიც სრულად დასცილდნენ ევროპელი ხალხების დაკვეთას, არიან სრულად აღმსრულებლები რაღაც გეოპოლიტიკური, გლობალისტური მიზნებისა, რომლებსაც მათ ყურში უჩურჩულებენ არაფორმალური მმართველები. მეორე, ეს არის იმედგაცრუება ქართველი ხალხისთვის, რომელიც, გარდა იმისა, რომ მიისწრაფვის ევროკავშირის წევრობისკენ, თავად არის შემოქმედი ევროპისა, ევროპული ცივილიზაციისა, ევროპული ღირებულებებისა. ჩვენ, ქართველები ვხედავთ, რომ ჩვენ თვალწინ ბრიუსელი ანგრევს ევროპულ ცივილიზაციას და ამას ვხედავთ არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ამაზე უკვე ხმამაღლა საუბრობს აშშ – ევროპის უსაფრთხოების მთავარი გარანტი“,** – აღნიშნა **შალვა პაპუაშვილმა.**



**გუშინ**

## აზერბაიჯანიდან სომხეთში საქართველოს გავლით ნავთობპროდუქტების პირველი პარტია გაიგზავნა!

**აზერბაიჯანმა სომხეთს საქართველოს რკინიგზის გავლით გუშინ ნავთობპროდუქტების პირველი პარტია გაუგზავნა,** – ინფორმაციას აზერბაიჯანული მედიაავრცელებს.

**გავრცელებული ინფორმაციით, აზერბაიჯანი სომხეთს კომპანია სოკარის მიერ წარმოებულ 22 ვაგონ ბენზინს უგზავნის.**

**მედიის ცნობით, ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების შესახებ გადაწყვეტილება 28 ნოემბერს ქალაქ გაბალაში აზერბაიჯანის ვიცე-პრემიერის შაჰინ მუსტაფაევისა და სომხეთის ვიცე-პრემიერის მჰერ გრიგორიანის შეხვედრის დროს მიიღეს.**

ცნობისთვის, 8 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმადაც, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის გადაწყვეტილებით, საქართველოს რკინიგზა აზერბაიჯანული საწვავის სომხეთში სარკინიგზო გადაზიდვას ერთჯერადად სრულიად უსასყიდლოდ განახორციელებს.

# შსს: ამნისტიის ფარგლებში მართვის უფლება 35 000-მდე პირს აღუდგება!

**სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით შეჩერებული მართვის მოწმობების აღდგენაზე გამოცხადებულ ამნისტიასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ინფორმაციას ავრცელებს და მართვის უფლების აღდგენის პროცედურებს განმარტავს.**

**„საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადდა კანონის პროექტები, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით შეჩერებული მართვის მოწმობების აღდგენასთან დაკავშირებით ფართომასშტაბიანი ამნისტია გამოცხადდა.**

**დღეის მდგომარეობით, 35 500-მდე პირს შეჩერებული აქვს მართვის მოწმობა. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ კანონპროექტის სამართლებრივი შეღავათი გავრცელდეს მოქალაქეთა იმ კატეგორიაზე, ვისაც 2025 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით შეჩერებული აქვს მართვის უფლება საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილის მიტოვებისთვის, ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისთვის ან მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის ამოწურვისთვის.**

**მნიშვნელოვანია მართვის უფლების აღდგენის პროცედურები:**

**780-მდე პირს, რომელთაც 2025 წლის 16 დეკემბრის ჩათვლით „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება შეუჩერდათ მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულების რაოდენობის ამოწურვის გამო, 2026 წლის 1 იანვრიდან ავტომატურად აღუდგებათ სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება და მათ მართვის მოწმობას ხელახლა მიენიჭება 100 ქულა;**

**მნიშვნელოვანია, რომ ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელ 3500-მდე პირს, ავტომატურად არ აღუდგება**




**მართვის უფლება. ამ შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა დასაშვები იქნება სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის (დინამიური-ნარკოლოგიური გამოკვლევის) დასკვნის წარდგენის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ;**

**აღსანიშნავია, რომ დაკისრებული ჯარიმების გადაუხდელობის გამო, მართვის უფლება დღეის მდგომარეობით შეჩერებული აქვს 11 000-მდე ადამიანს. მათ მართვის უფლება აღუდგებათ ჯარიმის გადახდის შემთხვევაში;**

**იმ 20 000-მდე პირის მიმართ, რომელთაც ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მართვისთვის ან შემთხვევის ადგილის მიტოვების გამო შეჩერებული აქვს მართვის უფლება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო 2026 წლის 1 თებერვლამდე უზრუნველყოფს თითოეული პირის ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებას, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ადმინისტრაციული სახდელისგან – სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერებისგან – გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება მიუთითებს, რომ პირს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება აღუდგა.**

**ამასთან, ამნისტია გავრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 273-ე მუხლით გათვალისწინებულ ნარკოტიკულ დანაშაულზე. მსგავსი ნარკოტიკული დანაშაულის ჩამდენმა პირებმა, მართვის უფლების აღდგენის მიზნით, უნდა მიმართონ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას.**

**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე, 451, 1152 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის შეჩერებული მართვის უფლების აღდგენის მიზნით კი პირმა უნდა მიმართოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს.**

**ნარკომომხმარებლებისთვის სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების აღდგენა დასაშვებია სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის (დინამიური-ნარკოლოგიური გამოკვლევის) დასკვნის წარდგენის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ“,** – ნათქვამია შსს-ს ინფორმაციაში.

უწყებაში განმარტავენ, რომ **ამნისტია არ შეეხება დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების შეძენა/შენახვის ან რეალიზაციის/გასაღების გამო მართვის უფლების ჩამორთმევის შემთხვევებს. ასევე, ამნისტია არ შეეხება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლს, ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დროს მართვის უფლების შეჩერების შემთხვევებს.**

**„მნიშვნელოვანია, რომ წარმოდგენილი კანონპროექტით უქმდება ის ნორმები, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევ პირს აძლევს შესაძლებლობას, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება ვადამდე აღიდგინოს. აღნიშნული მიუთითებს, რომ იმავე ქმედებების განმეორებით ჩადენის შემთხვევაში აღნიშნულ პირებზე მკაცრი საკანონმდებლო რეგულაციები გავრცელდება“.**

# კულტურული რენესანსი „მონობაში“ და შემოქმედებითი კოლაფსი „თავისუფლებაში“

**და რა მივიღეთ „თავისუფლების“ ეპოქაში?**

**ჩვენ მივიღეთ გევრად უფრო საშიში, შინაგანი მტერი. ჩვენ მივიღეთ ნიჰილიზმის, ცინიზმის, გლობალური მომხმარებლობისა და სულიერი სიცარიელის თავისუფლება. ეს არის „ექსპერტოკრატიის“ ეპოქა.**

**და საერთოდ, რომელ „თავისუფლებაზე“ საუბრობენ ისინი, ვინც ყველაზე ხმამაღლა გმობს წარსულის „მონობას“? ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ აქ ინტელექტუალური და პოლიტიკური ანბანის არმცოდნე იდიოტები ვსხედვართ?**

ჩვენ მშვენივრად ვიცით, და ეს დიდი ხანია გეოპოლიტიკური და სადაზვერვო სტრატეგიების კლასიკური სახელმძღვანელოების ნაწილია, თუ როგორ იყენებენ სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები სწორედ ამ „არასამთავრობო ორგანიზაციებს“ საკუთარი მიზნების მისაღწევად. რისთვის? ჰიბრიდული ომის საწარმოებლად. ეს არის რბილი ძალით განხორციელებული ოკუპაციის ყველაზე ეფექტიანი და იაფი მოდელი.

**ეს ორგანიზაციები არიან გავლენის აგენტურის ლეგალური ქსელი, რომელიც შექმნილია არა „დემოკრატიის“ ასაშენებლად, არამედ ეროვნული ინსტიტუტების – პირველ რიგში, ეკლესიის, არმიის, ოჯახისა და განათლების სისტემის – დისკრედიტაციისა და შიგნიდან გახრწნისთვის. ისინი ასრულებენ პირდაპირ დაკვეთას, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი სულიერი კოდის, ჩვენი ტრადიციული იდენტობისა და ეროვნული თვითშეგნების სრულ ეროზიას.**

და ამის შემდეგ, ეს ადამიანები, რომელთა ყოველი „პროექტი“, ყოველი „კვლევა“ და ყოველი „კრიტიკული“ აზრი სრულად ფინანსდება, კონტროლდება და ნაკარნახევია გარე ძალების მიერ, ბედავენ და გვასწავლიან ჩვენ, რა არის თავისუფლება!

ეს არ არის თავისუფლება! ეს არის მონობის ყველაზე დახვეწილი, პოსტმოდერნული ფორმა – **თვითგაღმა და ფინანსურად სტიმულირებული ეროვნული თვითმკვლელობა.**

ეს გახლავთ შემოქმედებითი მისიის თვითსაბოტაჟი, მისი შიგნიდან გახრწნა. ერი, რომელიც კარგავს შექმნის უნარს და გადადის მხოლოდ სხვისი პროდუქტის მოხმარებაზე, კრიტიკაზე და „რევოლუციურ“ ნგრევაზე სულიერად კვდება.

საბჭოთა „მონობამ“ ჩვენი სული ვერ მოკლა; ლიბერალურმა „თავისუფლებამ“ ის სულიერად დაასაჭურისა.

მოდით, ახლა ვნახოთ ის „არგუმენტები“, რომლებითაც სცადეს ჩემი თეზისის განეიტრალება. ეს არ არის უბრალოდ შეცდომები, ეს ინტელექტუალური დივერსიის მცდელობაა.

**დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ N165, 166**



**საბჭოთა „მონობამ“ ჩვენი სული ვერ მოკლა, ლიბერალურმა „თავისუფლებამ“ კი სულიერად დაგვასაჭურისა!..**

● **არგუმენტი „ნოსტალგიისა“ და „ცარიელი დახლების“ შესახებ. ეს არის დისკუსიის მიზანმიმართული ვულგარიზაცია. როდესაც ერის ეგზისტენციალურ არჩევანზე, მის კულტურულ კოდსა და სულიერ მისიაზე ვსაუბრობ, პასუხად მესმის „ძეხვი“ და „პოლიკლინიკა“.**

**დამამცირებელია ისიც, რომ ეს არგუმენტი ფაქტობრივ სიცრუეს ეფუძნება. რომელ მშიერ ქართველზე საუბრობთ იმ პერიოდში? მე ასეთი არ მახსოვს. აი, დღეს კი, ამ თქვენს „თავისუფლებაში“, რა საყოველთაო სიდუხჭირეშიც არის ერი ჩავარდნილი, ამას ყველა ვხედავთ.**

და ის ფაქტი, რომ თქვენთვის ერის მდგომარეობის მთავარი საზომი კუჭის სავსეობაა, უკვე ჩემი დიაგნოზის დასტურია. თქვენ ერის მეტაფიზიკური ლოგოსი დაიყვანეთ საჭმლის მომნელებელ ტრაქტამდე. ეს არის სულიერი დეგრადაციის პიკი. თქვენი ფიქსაცია მატერიალურ კეთილდღეობაზე, რომლის დეფიციტსაც (თქვენივე მცდარი აღქმით) წარსულს აბრალებთ, გაბრმავებთ და გაიძულებთ, უგულებელყოთ მთავარი:

**მაშინ, იმ პირობებშიც კი, სულები იყო სავსე და შემძლე. დღეს კი, თქვენი სანუკვარი მატერიალური “სიუხვის“ (რომელიც რეალურად საყოველთაო სიდუხჭირეა) პირობებში, სულები გამოფიტული და სტერილურია.**

● **არგუმენტი „რუსეთის იმპერიისა“ და „ილიას“ შესახებ.„ილია და აკაკიც ხომ იმპერიის წნეხის ქვეშ ქმნიდნენ!“ – ეს არგუმენტი კი არა, ისტორიული სიწმინდის შებღალვაა. დიახ, ქმნიდნენ! ქმნიდნენ იმპერიის წნეხის მიუხედავად და იმპერიის წინააღმდეგ, რადგან მათ ჰქონდათ დიდი ეროვნული იდეა. ისევე, როგორც საბჭოთა პერიოდის გენიოსები ქმნიდნენ სისტემის წინააღმდეგ.**

**პარადოქსი, რომლის დანახვაც არ გინდათ, ისაა, რომ დღეს, ყოველგვარი წნეხის არარსებობის პირობებში, როცა არავინ გვიკრძალავს წერას, გადაღებას და აზროვნებას – სწორედ ახლა ვერაფერი იქმნება! ეს ამტკიცებს, რომ პრობლემა „წნეხი“ კი არ არის, არამედ იდეის არარსებობაა. ილია იბრძოდა იდეისთვის; დღევანდელი „კრიტიკოსები“ ებრძვიან ნებისმიერ იდეას სრული სიცარიელის სახელით.**

● **კითხვა 90-იანი წლების კოლაფსის შესახებ: „რატომ ვერ ქმნიდნენ 90-იან წლებში?“ – ეს ერთადერთი ღირებული კითხვაა. იმიტომ, რომ 90-იან წლებში მოხდა არა უბრალოდ ეკონომიკური ქაოსი, არამედ სულიერი და იდეური კოლაფსი. ეს იყო სულიერი გადახდის დღე 70-წლიანი კომპრომისისთვის. შემოქმედებითი ცეცხლი კი არ „დაიკარგა“ – ის გაიცვალა. ის ჯერ ბიოლოგიურ გადარჩენაზე გაიცვალა, შემდეგ მატერიალურ კომფორტზე, დღეს კი – უცხოურ გრანტებსა და იაფფასიან პოპულარობაზე. 90-იანები იყო დიდი ღალატის და დიდი გაცვლის დასაწყისი. ჩემი ოპონენტები სწორედ ამ გაცვლის სულიერი შვილები არიან.**

მოდით, დავასრულოთ. პრობლემა არ არის „ოკუპაცია“, როგორც წარსული ისტორიული მოვლენა. პრობლემა არის შინაგანი სულიერი ოკუპაცია – ნიჰილიზმით, უცხო, თავსმოხვეული იდეოლოგიებით და რაც მთავარია, შემოქმედებითი იმპოტენციით. ერის ხსნა არის არა წარსულის ბანალურ ნოსტალგიაში (რასაც ასე უნიჭოდ მაბრალებენ) და არც აწმყოს სუროგატული, უნიჭო კოპირების აპოლოგიაში (რაც რეალობად გვაქვს).

**ერის ხსნა არის საკუთარ ფუნდამენტურ, პირველქმნილ მისიაზე დაბრუნება. ეს მისია კი, გნებავთ თუ არა, ჩვენს მართლმადიდებლურ ფესვებში, ჩვენს უნიკალურ კულტურულ კოდში და შემოქმედების უნარშია. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ კრიტიკა და დავიწყოთ შენება. ჩვენ უნდა შევწყვიტოთ სხვისი მოხმარება და დავიწყოთ საკუთარის შექმნა.**

**დაბოლოს, არა რიტორიკული კითხვა, არამედ განაჩენი: ჩვენ გავცვალეთ გარეგანი, ფიზიკური ბორკილები შინაგან, მეტაფიზიკურ სიცარიელეში. თქვენ კი ამ სიცარიელეს, ამ სულიერად დასაჭურისებულ არსებობას, „თავისუფლებას“ ეძახით. სწორედ ეს არის ერის უდიდესი ტრაგედია.**



**ირაკლი ყიფიანი**

## გოდერძი შარაშიას საავტორო დოკუმენტური ფილმის – „ნაზარის წერილების“ ჩვენება გაიმართა

**ეროვნულ არქივში გოდერძი შარაშიას საავტორო დოკუმენტური ფილმის – „ნაზარის წერილების“ ჩვენება გაიმართა. ეროვნული არქივის ინფორმაციით, ფილმმა ნიუ-იორკის ONIROS FILM AWARDS 2025-ის კინოფესტივალზე მეორე ადგილი დაიკავა. „ნაზარის წერილები“ არის ფილმი 1924 წელს დახვრეტილი ხუთი სასულიერო პირის, მათ შორის, ქუთათელი მიტროპოლიტის – ნაზარის შესახებ.**




პროექტი, რომლის იდეა წმინდა ნაზარ ლეჟავას სახელობის საქველმოქმედო ფონდს ეკუთვნის, ტელეკომპანია „იმედმა“ განახორციელა.

**„ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო დიდ ისტორიას ინახავს. ჩვენ ამ ისტორიის მცველები ვართ. მოხარული ვარ, რომ ფართო საზოგადოებისთვის უცნობი, უმნიშვნელოვანესი ამბების გახსენება დავიწყეთ. სასიხარულოა, რომ ეს კეთდება მაღალ დონეზე და ისე, რომ საერთაშორისო აღიარებას ვიმსახურებთ. „ნაზარის წერილების“ უკან დიდი შრომა და კვლევა დგას. ამ შესანიშნავი პროექტის განხორციელებისთვის მადლობას ვუხდი გოდერძი შარაშიასა და მთელ შემოქმედებით ჯგუფს“,** – განაცხადა **თინათინ რუხაძემ.**

**დღეს, 19 დეკემბერს, 23 სთ-ზე „ნაზარის წერილებს“ „იმედის“ მაყურებელიც ნახავს!**

**ახალი გზავნილები ჩრდილოეთიდან. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დსთ-ს ქვეყნების მეოთხე დეპარტამენტის დირექტორმა მიხაილ კალუზინმა რუსულ მედიას განუცხადა, რომ რუსეთი სერიოზულად არის განწყობილი საქართველოსთან ურთიერთობების რეგულირებისთვის. ეს იმიტომ, რომ რუსი დიპლომატის განცხადებით, თბილისი ჯანსაღ პრაგმატიზმსა და საგარეო საქმეებში მრავალვექტორიანი მიდგომისკენ მიდრეკილებას ავლენს.**




## ნეიტრალიტეტი და სამოკავშირეო სახელმწიფო — რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მაგიდაზე ორი გეგმა დაიდება!

# მტრისას, მეორე ფრონტი რომ გაგვეხსნა!

**„დიახ, რუსეთი სერიოზულად არის განწყობილი საქართველოსთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის. მთავარია, რომ საქართველო ანტირუსულ თამაშებში „ხურდა ფული" არ გახდეს. რუსეთი საქართველოსთან სტაბილური ურთიერთობებისკენ ისწრაფვის. თბილისი ჯანსაღ პრაგმატიზმს და საგარეო საქმეებში მრავალვექტორიანი მიდგომისკენ მიდრეკილებას ავლენს",** – აცხადებს **პალუზინი.**

რუსი დიპლომატის განცხადებით, საქართველო არ შეუერთდა ანტირუსული სანქციების კოალიციას და უარყო რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნის უგუნური სცენარი, რომელსაც მას გარედან ახვევდნენ თავს.

**„ამის წყალობით, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, ეკონომიკის სფეროში ბევრს მივაღწიეთ. ჩვენ არ გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები, მაგრამ გვაქვს აქტიური კავშირები, რომელსაც ხელშესახები სარგებელი მოაქვს",** – განაცხადა **მიხაილ კალუზინმა.**

რუსეთის დიპლომატიური უწყებიდან მიღებულ გზავნილს გამოეხმაურა ოფიციალური თბილისი. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაკა ბოჭორიშვილი აცხადებს, რომ საქართველო დღესაც აგრძელებს ბრძოლას სამართლებრივი მექანიზმებით, რათა რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაციის შედეგად მოქალაქეთა დარღვეული უფლებები დავიწყებას არ მიეცეს. ბოჭორიშვილის განცხადებით, საქართველოს ყველაზე კარგად ესმის, რამდენად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ნორმების დაცვა.

**„მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სასამართლოების არაერთი გადაწყვეტილებით რუსეთს დაეკისრა პასუხისმგებლობა საქართველოსთან მიმართებაში, ის კვლავ აგრძელებს საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფას. სწორედ ამიტომ არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი არსებული მექანიზმების ეფექტიანობის გაანალიზება და შესაბამისი ნაბიჯების გადადგმა, რომ სამართალი აღსრულდეს. საქართველო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების ერთგულია და ჩვენ ძალიან ვაფასებთ ამ მხრივ ურყევ საერთაშორისო ძალისხმევას.**

**რასაკვირველია, საერთაშორისო საზოგადოების კონსოლიდირებულ რეაგირებას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა. დამოლოს, საქართველო სოლიდარულია უკრაინელი ხალხის და მტკიცედ უჭერს მხარს უკრაინის სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას და მის სამართლებრივ უფლებებს. მსურს, მადლობა გადავუხადო ნიდერლანდებს, ამ კონფერენციის მასპინძლობისთვის და გენერალურ მდივანს მისი ძალისხმევისთვის",** – განაცხადა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, რა თქმა უნდა, საქართველო ნორმალიზების მომხრე არის და ამის წინაპირობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაა. **შალვა პაპუაშვილის** თქმით, რუსეთის ფედერაციისთვის ქართული ხელისუფლების წინაპირობა ცნობილია.

**„ჩვენ ვთქვით, რა არის საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის აღდგენის წინაპირობა. რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობები აღდგება იმ შემთხვევაში, თუკი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა იქნება რუსეთის ფედერაციის მხრიდან აღიარებული, ნორმალიზების გზა ეს არის. რუსეთის ფედერაციამ და ხელისუფლებამ კარგად იცის, ურთიერთობის ნორმალიზების წინაპირობა რა არის. რა თქმა უნდა, ჩვენ ნორმალიზების მომხრე ვართ, ამის წინაპირობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებაა"!**

„ქართული ოცნების" წევრი, დეპუტატი **ლევან მახაშვილი** აცხადებს, რომ საქართველოს ყველა ხელისუფლების ინტერესი, წესით და რიგით, უნდა იყოს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება იმ მიზნით, რომ აღდგეს ტერიტორიული მთლიანობა. სხვა მიზანი ამ ნორმალიზებას, პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ბუნებრივია, არ ექნება.

**„საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა არის ის მინიმუმი, რაც უნდა დაედოს საფუძვლად ურთიერთობის ნორმალიზებას. აქ არ არის მაინცდამაინც აუცილებელი მოსკოვში პასუხების ძიება. არა თუ მოსკოვი, ბოლო რამდენიმე წელიწადია, პირდაპირ ხმამაღლა ვაცხადებთ, რომ ჩვენ გვაქვს პრაგმატული პოლიტიკა. ამ პრაგმატული პოლიტიკის პრინციპი არის რამდენიმე – სტრატეგიული პარტნიორობის ურთიერთობები, იმ მეზობლებთან, რომლებთანაც გვაქვს ურთიერთობები, ხოლო რუსეთთან, რომელიც დღემდე აგრძელებს ჩვენი ტერიტორიების ოკუპაციას, მშვიდობიანი პოლიტიკა, რაციონალური პოლიტიკა იმ მიზნით, რომ აღდგეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.**

**ძალიან მარტივია ამაზე საუბარი. არაფერი დასამალი ამ პრაგმატულ პოლიტიკას არ აქვს. არა თუ დასამალი, პირიქით, წლებია, ამას ხმამაღლა, შიგნითაც და გარეთაც ვამბობთ. ჩვენ გვაქვს პრაგმატული პოლიტიკა, რომლის საბოლოო მიზანი არის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ამ მიზნისკენ ჩვენ, რა თქმა უნდა, სადაც ამის საჭიროება იქნება, მზად ვართ რაციონალური, სადი ნაბიჯების გადადგმისთვის",** – განაცხადა **ლევან მახაშვილმა.**

პოლიტოლოგის **ირაკლი გოგავას** განცხადებით, საქართველოსთვის კარგი ეპოქა დგება. ერთი – ნეიტრალიტეტი და მეორე – სამოკავშირეო ქვეყნის სტატუსი იქნება მენიუში, რომელიც რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების მაგიდაზე დაიდება. პოლიტოლოგი არ გამორიცხავს, რომ დაიდოს მესამე ვარიანტი – სამხრეთ კავკასიური სამეული, რომელიც თეორიულად შეიძლება განვიხილოთ.

**„ერთ-ერთ ვარიანტზე ჩამოვყალიბდებით, დასათვლელია, მარტო ჩვენზე ხომ არაა დამოკიდებული, რა შეთავაზებები იქნება და რა შეზღუდვები. ამ სამ ვარიანტზე მსჯელობები მოგვიწევს. აუცილებელია სამართლიანი მშვიდობა, რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნების უფლება. აფხაზეთში არის პირდაპირი აპარტეიდი. 45 ათას ქართველს მარტო გალის რაიონში, არც საარჩევნო ხმის უფლება აქვთ და არც არაფრის უფლება არ აქვთ, მშობლიურ ენაზე სკოლები არ არის. აპარტეიდია, რასაც კირიენკოს თამადობით, რუსეთის ხელისუფლება მხარს უჭერს. დევნილების დაბრუნების საკითხი არც აინტერესებთ, მაგრამ უნდა დავაინტერესოთ.**

**დღეს ბევრი საუბრობს იმაზე, რომ სერგეი ლავროვი აფერხებს საერთოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის დალაგებას. ძალიან ბევრი ინტერესის ჯგუფია რუსეთში, რომელსაც არ აწყობს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დალაგება. ეს არის მათ შორის ეთნიკური დიასპორა და მათი ინტერესთა ჯგუფები, მათ შორის ისეთი ჯგუფები მთელ ბიზნეს რომ აკონტროლებენ, რადგან ურთიერთობის დალაგების შემდეგ ფუნქციას დაკარგავენ",** – აცხადებს **ირაკლი გოგავა.**

კითხვაზე, ახალ შექმნილ ვითარებაში ჩვენ რა პერსპექტივა გვაქვს, იმ პირობებში, როდესაც ძირითად თამაშის წესებზე რუსეთი და ამერიკა მოილაპარაკებენ, პოლიტოლოგი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს ორი ვარიანტი, რომელიც ახლა გამოჩნდება. პირველი ვარიანტი – სამხედრო ნეიტრალიტეტი, ის, რაც აქვს, მაგალითად, თურქმენეთს, რომლის ნეიტრალიტეტის 30 წლისთავის ზეიმზე ჩავიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი და ბევრი ქვეყნის პირველი პირი.

**„ნეიტრალიტეტი არის სერიოზული ვარიანტი, ოღონდ ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ და შემდეგ უნდა ცნოს სხვა სახელმწიფოებმა. მეორე, ეს არის, რასაც რუსი ექსპერტები ამბობენ – სამოკავშირეო სახელმწიფო, როგორც ბელორუსი. ძალიან მალე ეს ორი ვარიანტი დაიდება ჩვენს წინაშე. ის 78-ე მუხლი, რაც ჩაგვაწერინეს, ნატოში მიდიხარ, იქ ანაკლიის პორტი და „დიდუბის ვაგზალი", ეს მუხლი კონსტიტუციიდან ამოსაღებია და საერთოდ, ძალიან მალე კონსტიტუცია საერთოდ უნდა შევცვალოთ.**

**რაც შეეხება მეორე ფრონტის გახსნას, ჩვენ სწორი არჩევანი გავაკეთეთ. მოსახლეობამ დაიჯერა ხელისუფლების პოზიცია, რომ ეს ჩვენთვის ეგზისტენციალური საფრთხეა, ამ ავანტიურას რომ ავყოლოდით, როგორც 2008 წელს, სააკაშვილი აჰყვა, დიდი შანსი იყო, რომ სახელმწიფოებრიობა დაგვეკარგა და უზარმაზარი მსხვერპლი ყოფილიყო. დაახლოებით, 200 ათასი კაცი მოკვდებოდა ამ კონფლიქტში, ჩვენ რომ ჩავრთულიყავით. ეს იმიტომ, რომ რუსეთი არ დაიწყებდა აქ სახმელეთო ოპერაციებს და წერტილოვან დარტყმებს, უბრალოდ, არ ეცლებოდა გენშტაბს საიუველირო სიზუსტით განსაზღვრაში. დაგვაყრიდნენ უამრავ „ისკანდერებს", „არეშნიკებს" და უბედურებას. შეიძლება ტაქტიკური ბირთვული იარაღიც გამოეყენებინათ. მოდერნირება არსებობს, ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენება მილიონიან ქალაქზე პირდაპირ იმ წამსვე იწვევს 200 ათასი ადამიანის გარდაცვალებას. დანარჩენი დასხივდება და 10-15 წელიწადში ისედაც დაიღუპება დასხივებით, რადიაციის გამო. ამ შედეგს მივიღებდით რეალურად",** – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას **ირაკლი გოგავა.**

მოამზადა
თამთა ქარჩავამ

**ნეიტრალიტეტი არის სერიოზული ვარიანტი, ოღონდ ჩვენ უნდა გამოვაცხადოთ და შემდეგ უნდა ცნოს სხვა სახელმწიფოებმა. მეორე, ეს არის, რასაც რუსი ექსპერტები ამბობენ – სამოკავშირეო სახელმწიფო, როგორც ბელორუსი. ძალიან მალე ეს ორი ვარიანტი დაიდება ჩვენს წინაშე. ის 78-ე მუხლი, რაც ჩაგვაწერინეს, ნატოში მიდიხარ, იქ ანაკლიის პორტი და „დიდუბის ვაგზალი", ეს მუხლი კონსტიტუციიდან ამოსაღებია და საერთოდ, ძალიან მალე, კონსტიტუცია საერთოდ უნდა შევცვალოთ.**

# რატომ ვერ აშანტაჟებს ევროპა „ქართულ ოცნებას“




**ევროკავშირის ოფიციალური პირები და ევრობიუროკრატები განაგრძობენ საქართველოს შიდა საქმეებში უხეში ჩარევის მცდელობას, არ ცვლიან შანტაჟის ენას და კვლავ აყენებენ მთავრობისადმი მიუღებელ მოთხოვნებს. ბრიუსელიდან გაჟღერებული მკაცრი კრიტიკა და ულტიმატუმები, მათ შორის, რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მოთხოვნა, მიზნად ისახავს ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების გარედან მართვას და სუვერენიტეტის ხელყოფას.**

**კითხვა, რომელიც დღის წესრიგში დგას — ხვალ რომ „ქართულმა ოცნებამ“ მართლაც დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები, აქვს კი ოპოზიციას იმის რესურსი და შესაძლებლობა, რომ არჩევნებში ის შედეგი აჩვენოს, რომელიც დასავლელ მეშანტაჟეებს სურთ? მაშინ, როცა ოპოზიციის ლიდერების დიდმა ნაწილმა ხელისუფლებას თავი დააჭერინა, შიდა დაპირისპირების ფონზე კი ოპოზიციის რიგები ბევრმა მისმა წევრმა დატოვა. ბრძოლის ტაქტიკასთან დაკავშირებით გაჩენილი უკმაყოფილების ფონზე კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა, 4 ოქტომბრის „ჩავარდნილი რევოლუციის“ შემდეგ კი მხარდამჭერებიც კი განუდგნენ. რაში აწყობს ოპოზიციას ახალი არჩევნების ჩატარება, მით უფრო, რუსთაველის მოედანზე დარჩენილი 300 კაცის იმედად?!**

## ევრობიუროკრატების მოთხოვნები და პოზიცია

**ბრიუსელში გამართულ შეხვედრაზე ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებმა მწვავე კრიტიკა გამოთქვეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიმართ და ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ კრიზისზე პასუხისმგებლობა მმართველ გუნდს დააკისრეს.**

ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრი ღიად აცხადებს, რომ პოლიტიკური გზის დასაძლევად სხვა გზას არ ხედავს, გარდა ახალი არჩევნების დანიშვნისა.

ევროკომისარი **მარტა კოსი** მიიჩნევს, რომ თუ „ქართული ოცნება“ ავტორიტარულ კურსს არ შეცვლის, ვითარება ბრიუსელთან კიდევ უფრო გამწვავდება. მისი თქმით, საქართველო უპრეცედენტო რეგრესს განიცდის.

**მარტა კოსის** განცხადებით, ევროკავშირში გაწევრების პროცესის გასაგრძელებლად, საქართველოს მთავრობამ მიდგომები და დღის წესრიგი უნდა შეცვალოს.

ევროპელი დიპლომატები საქართველოს დემოკრატების განაკში ველარ ხედავენ და აცხადებენ, რომ ქვეყანამ არასწორი მხარე აირჩია. აღინიშნება, რომ ბრიუსელის დღის წესრიგში სომხეთი და არა საქართველოა, რაც რეგიონში მთავარი მოკავშირის ძიებაზე მიანიშნებს. ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრის **კესტუტის ბუდრისის** მკაცრ კითხვებს, თუ სად არის საქართველო და როგორ ჩაატარებს სუვერენული სახელმწიფო არჩევნებს, ოპოზიციური პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ წევრი **ლევან ნიკოლეიშვილი** ღია პოლიტიკურ ზეწოლად და შიდა საქმეებში ჩარევის მცდელობად აფასებს.

## ხელისუფლების კონტრარგუმენტები და პასუხი

**„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები მტკიცედ უარყოფენ ევრობიუროკრატების კრიტიკას და აცხადებენ, რომ სწორედ ევროკავშირის ბიუროკრატიამ გადაუხვია დასავლეთის კურსს და უღალატა ევროპის იდეას.**

საპარლამენტო კომიტეტების თავმჯდომარეები — **ნინო წილოსანი** და **დავით მათიკაშვილი** მტკიცედ აცხადებენ, რომ საქართველოს არ გადაუხვევია ევროკავშირის კურსიდან არცერთი წამით და არცერთი ნაბიჯით. ხელისუფლება მიუთითებს ევრობიუროკრატების, მათ შორის, მარტა კოსის არათანმიმდევრულ განცხადებებზე, რომლებშიც რამდენიმე კვირის წინ პროცესის შეჩერება ევროპულ საბჭოს და არა საქართველოს ხელისუფლებას დაბრალდა. ნინო წილოსანის თქმით, კურსს გადაუხვია თავად ევროკავშირმა და ბრიუსელის ბიუროკრატიამ.

**„ევრობიუროკრატებისთვის დემოკრატია წარმოადგენს, თუ ხალხის არჩეული ხელისუფლების ნაცვლად, ისინი დასვამენ ხელისუფალს და თუ საკუთარი ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ, ომის იარაღად იქნები გამოყენებული“**, — ამბობს **წილოსანი**.

„ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერი **ლევან ნიკოლეიშვილი** კი ხაზს უსვამს, რომ საქართველო არ არის ვინმეს მორჩილი პროვინცია და არც საგამოცდო პოლიგონი უცხო პოლიტიკური ინტერესებისთვის. კესტუტის ბუდრისის მოთხოვნებს კი შიდა საქმეებში ჩარევად მიიჩნევს.

**დავით მათიკაშვილი** კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს საგარეო კურსი უცვლელია და 2030 წლისთვის, საქართველო ყველაზე მზად იქნება ევროკავშირში გასაწევრიანებლად. მმართველი გუნდი ევრობიუროკრატების მოთხოვნებს პასუხობს მკაცრი რიტორიკით, სუვერენიტეტის დაცვის მოწოდებებითა და კონტრბრალდებებით იმის თაობაზე, რომ სწორედ ბრიუსელი უხვევს ევროპული ღირებულებებიდან. ამასთან, ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ რიგგარეშე არჩევნების ჩატარების მიზანშეწონილობას, ოპოზიციის სისუსტისა და რესურსების სიმცირის ფონზე.

## შანტაჟი ქართველებისთვის მიუღებელია

**ანალიტიკოსი გია აბაშიძე for.ge-თან საუბარში აცხადებს, რომ არცერთი ევროპელი პოლიტიკოსის საქმე არ არის, რა გრაფიკითა და პოლიტიკური დღის წესრიგით იმოქმედებს საქართველოს ხელისუფლება. ანალიტიკოსი სვამს კითხვას, თუ რის საფუძველზე უნდა ჩატარდეს რიგგარეშე არჩევნები:**

**„ვინმემ, 2024 წლიდან, დაამტკიცა, რომ მასობრივი გაყალბება იყო, რამაც შედეგებზე იმოქმედა? რა თქმა უნდა, ვერა, რადგან არ ყოფილა არაფერი გაყალბების მსგავსი, ამიტომ ეს არის საკუთარი თავის, გინდა ვილნიუსში, გინდა ბრიუსელში და სადაც გინდა, მასხრად აგდება. საქართველოს დემოკრატიას ასე ზერელედ მცნობი ადამიანები, სუვერენიტეტის შელახვით ცდილობენ ქვეყანას, რაღაც საბჭოთა სტილის რეკომენდაციები თავს მოახვიონ. ამ დროს კი ამბობენ, რომ თურმე მათთვის სუვერენიტეტი შეუვალია. მაშინ, საფრანგეთშიც მოითხოვონ ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები, რადგან ისტორიულ მინიმუმზე, 11%-ზეა მაკრონის რეიტინგი. თუმცა, ამას არ აკეთებენ, რადგან იქაც არჩევნები პოლიტიკური კალენდრის მიხედვით ჩატარდება. მეორე, ევროკრატიის ეს წვრილფეხობა ვერ უბედავს ვერაფერს ვერც საფრანგეთს და ვერც ამერიკას. ვაშინგტონი მათ უტევს უნიათობისა და არაეფექტურობის გამო“**, — განაცხადა **აბაშიძემ**.

მისივე თქმით, იმის გამო, რომ საქართველო პატარა ქვეყანაა, ჰგონიათ, რომ ვინმეს მისთვის თითის დაქნევისა და დამუნათების უფლება აქვს. აბაშიძე აცხადებს, რომ ამ წლების განმავლობაში, ვერაფრით გაიგეს ის, რომ „ოცნების“ ხელისუფლება არ და ვერ შანტაჟდება, ხოლო ქართველი ხალხისთვის ასეთი ენით მათ მიერ არჩეულ ხელისუფლებასთან საუბარი მიუღებელია.

**„საკუთარ ქვეყნებს მიხედონ. რაც უფრო ასეთ უნამუსო განცხადებებს გააკეთებენ ლეგიტიმური ხელისუფლების წინააღმდეგ, მით უფრო უკურეაქცია იქნება ქართული საზოგადოების ბირთვიდან. ჩვენს ისტორიულ მეხსიერებას სხვადასხვა იმპერიები ახსოვს და ვერასდროს ვერ ავიტანთ, რომ ვიღაცამ გარედან თითი გვიქნიოს. არადა, ყველა ძალიან კარგად ხედავს, რომ ევროკავშირში პოლიტიკური კრიზისია.**

**აღარ ვლაპარაკობ იმაზე, რომ გეოპოლიტიკურ მაგიდასთან მათ არავინ აღარ ეძახის. ევროკავშირი ტექნოკრატების სამფლობელოდ იქცა, ამიტომ ინგრევა სამართლიანად, რასაც ხელს უწყობს არა მხოლოდ ტრამპის ზეწოლა, არამედ შიდა პატრიოტების მოქმედებაც. შესაბამისად, რაც უფრო მწვავე განცხადებებს გააკეთებენ, ქართველი ხალხი მით უფრო ღიზიანდება და რწმუნდება იმაში, რომ მათ მიერ არჩეული ხელისუფლების პოლიტიკა სწორია“**, — ამბობს **აბაშიძე**.

მისივე თქმით, საზოგადოებაში არანაირი წონა არა აქვს არც ეკა გიგაურს, არც ნინო ლომჯარიას და არც „ნაცების“ რომელიმე პოლიტიკოსს, რომელსაც ხალხი მხარს დაუჭერს და მათ ალტერნატიულ ძალად განიხილავს.

მოამზადა
ლიკა ბერიკაშვილმა



## რევაზ სოხაძე:
# მომავალი წლების განმავლობაში 400 კილომეტრი ახალი მაგისტრალი აშენდება!



**ინფრასტრუქტურის მინისტრმა რევაზ სოხაძემ სამტრედია-გრიგოლეთის მაგისტრალის ახალი 8-კილომეტრიანი მონაკვეთის გახსნაზე საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრა.**

მისი განცხადებით, ბოლო წლებში მაგისტრალური გზების მშენებლობის მასშტაბი უპრეცედენტოა – უკვე გახსნილია 383 კილომეტრი მაგისტრალი, ხოლო 65 კილომეტრზე მეტი ჩქაროსნული გზის მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს.

**„ზაფხულის ტურისტული სეზონისთვის დასრულდება სამტრედია-გრიგოლეთის კიდევ 6 კილომეტრი და გრიგოლეთი–ქობულეთის 3-კილომეტრიანი მონაკვეთი, რაც ბათუმამდე ჩქაროსნული მაგისტრალით გადაადგილებას გახდის შესაძლებელს“.**

სამტრედიის მონაკვეთზე არსებული გარკვეული პრობლემების მოგვარებაზე სამინისტრო აქტიურად მუშაობს.

მინისტრმა ყურადღება გაამახვილა ბათუმი-სარფის დიდი გვირაბის მშენებლობის ტენდერზე, სადაც კომპანიების მაღალი აქტივობა სახელმწიფოს სანდო პარტნიორობაზე მიუთითებს. მისი თქმით, პროექტების განხორციელებისას უწყებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართული კომპანიების ჩართულობას, რადგან სამინისტროს მიზანი არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის განვითარება, არამედ ძლიერი სამშენებლო სექტორის ჩამოყალიბება და ხელშეწყობაცაა.

სამომავლო გეგმებს შორის დასახელდა **სამტრედია-ზუგდიდის ოთხზოლიანი მაგისტრალის დაპროექტება, ანაკლიის პორტთან მისასვლელი 17-კილომეტრიანი გზის პროექტი, ახალი დერეფნები – რუსთავი-წითელი ხიდი, რუსთავი-სადახლო და ბათუმი-სარფი, დაგეგმილია ახალი 75,7-კილომეტრიანი გზა სამტრედიიდან ზუგდიდამდე, ასევე ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნის პროექტები: წინამური-ჟინვალის მაგისტრალის, ფასანაურის შემოვლითი გზის, არშა-სტეფანწმინდას მონაკვეთის მშენებლობა.**

**„ქვეშეთი-კობის მონაკვეთზე მიმდინარეობს სამუშაოები, შენდება ქვეყნის ყველაზე მაღალი ხიდი და უკვე დასრულებულია 9-კილომეტრიანი გვირაბი, რაც თბილისიდან გუდაურამდე მგზავრობის დროს ერთ საათამდე შეამცირებს,“** – აღნიშნა **სოხაძემ**.

**აქტიურად ვითარდება საგზაო ინფრასტრუქტურა კახეთის მიმართულებითაც – უკვე გახსნილია რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაკვეთი: თბილისი-საგარეჯოს გზა, ბაკურციხე-წნორის და ბაკურციხე-გურჯაანის მონაკვეთები. მიმდინარეობს საგარეჯო-ბადიაურის 17-კმ-იანი მონაკვეთის მშენებლობა. დაგეგმილია ბადიაური-ჩალაუბნის და ჩალაუბანი-ბაკურციხის 4-ზოლიანი მაგისტრალის, გურჯაანი-თელავის, წნორი-ლაგოდეხის მონაკვეთების 2-ზოლიანი მაგისტრალის მშენებლობა.**

ასევე, მომავალი წლიდან დაიწყება თბილისის 51-კილომეტრიანი შემოვლითი გზის მშენებლობა, რაც არა მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის მნიშვნელოვანი კვანძი იქნება, არამედ განტვირთავს დედაქალაქის სატრანსპორტო ქსელსაც.

მინისტრის შეფასებით, ყველა ეს პროექტი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას შეუწყობს ხელს, რაც დადებითად აისახება თითოეულ მოქალაქეზე. მან მადლობა გადაუხადა სამინისტროს თანამშრომლებს, საგზაო დეპარტამენტს, სამშენებლო კომპანიებსა და საერთაშორისო პარტნიორებს გაწეული სამუშაოსთვის.

**„ჩვენ გვაქვს ამბიციური გეგმა, რომ მომავალი წლების განმავლობაში 400 კილომეტრი ახალი მაგისტრალი აშენდეს. მზად ვართ ამ პასუხისმგებლობისთვის და დარწმუნებულები ვართ, რომ ეს პროექტები ჩვენი ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი გარანტია იქნება“**, – განაცხადა **რევაზ სოხაძემ**.

# თბილისის ბიუჯეტი იზრდება,
## მოსახლეობის სოციალური პრობლემები
# უფრო მასშტაბურად მოგვარდება!

**17 დეკემბერს გაიმართა თბილისის მთავრობის სხდომა, რომელმაც განიხილა სხვადასხვა აქტუალური საკითხები.**

2026 წლის ბიუჯეტის საერთო მოცულობა შეადგენს 2 193 388 700 ლარს. ეს მაჩვენებელი 219 823 300 ლარით მეტია 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით და 110 906 500 ლარით აღემატება პირველად წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს. შემოსავლების სტრუქტურა შემდეგნაირად არის გადანაწილებული: საკუთარი შემოსულობები – 1 533 357 600 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი – 630 000 000 ლარი; სხვა კაპიტალური გრანტები, სესხის ფარგლებში დასაფარი დღგ-ის ჩათვლით – 25 480 000 ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 4 551 100 ლარი.

**ინფრასტრუქტურის მიმართულებით** – 2026 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 572 920 000 ლარი და იგი 2026 წლის ბიუჯეტის საერთო მოცულობის 26%-ს შეადგენს, ხოლო სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით – დაგეგმილია 601 712 500 ლარი, რაც 2025 წელთან შედარებით, 67 859 100 ლარით მეტია.

**სოციალური და ჯანდაცვის ხარჯები ბიუჯეტის 27 %-ს შეადგენს.** სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 168 000 000 ლარის დონორული დაფინანსება;

**2026 წელს** იწყება და გრძელდება ბევრი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პროექტი, მათ შორის: **ტრამვაის ხაზის** პროექტირება და მშენებლობა; **სამგორი-ვაზისუბნის საბაგირო გზა; რუსთაველის გამზირის სრული რეაბილიტაცია;** ახალი ხიდების მშენებლობა და არსებული ინფრასტრუქტურის განახლება; სპორტული კომპლექსებისა და რეკრეაციული სივრცეების განვითარება; სკვერებისა და პარკების მოწყობა და რეაბილიტაცია; ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემების გაუმჯობესება.

მნიშვნელოვანია, რომ **დაფინანსება იზრდება ყველა რაიონში.** ამ მიმართულებით გამოყოფილია 298 933 900 ლარი, რაც 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით 24 095 100 ლარით მეტია.



ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი – „სახსრების ენდოპროთეზირების დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა მიმდინარე წელს 900-ზე მეტი შემთხვევა დააფინანსა. აღნიშნული პროგრამის განხორციელებაც ჩვენი საარჩევნო დაპირება იყო და, რა თქმა უნდა, ჩვენ მივყვებით ყველა იმ დაპირების აღსრულებას, რომელიც მოსახლეობას მივეცით. ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის აღნიშნული პროგრამის მოსარგებლეები არიან – მერიისთვის განცხადებით მიმართვამდე, ბოლო ორი წლის განმავლობაში უწყვეტად და ამავდროულად, პროგრამაში ჩართვის დროისთვის, თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთაც აღნიშნული მომსახურება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში არ უფინანსდებათ. მერიის პროგრამით სარგებლობისთვის, მოქალაქემ ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, შესაბამისი საბუთებით ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს უნდა მიმართოს. თბილისის მერია მომსახურების მისაღებად მატერიალიზებულ ვაუჩერს/თანხმობის წერილს გასცემს და დაფინანსების თანხა შეადგენს არაუმეტეს 6 000 ლარს. პაციენტის თანაგადახდა ფაქტიური ხარჯის გათვალისწინებით განისაზღვრება.

საბურთალოს რაიონში, არჩილ ცაგარელის ქ. N5-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მრავალსართულიანი კორპუსის აშენება იგეგმებოდა, თუმცა მუნიციპალიტეტმა, მოლაპარაკების გზით, მისი ადგილმონაცვლეობა განახორციელა.საბურთალოს გამგეობამ აღნიშნულ ტერიტორიაზე დასასვენებელი სივრცე მოაწყო. პროექტის ფარგლებში, დამონტაჟდა ყველა შესაბამისი საპარკო ინფრასტრუქტურა, მოეწყო სატრენაჟორო და საბავშვო-გასართობი ზონები. შედეგად, ადგილობრივ მცხოვრებლებს დასვენებისა და განტვირთვის სივრცე ექნებათ.

გლდანის რაიონის გამგეობა რეკრეაციული სივრცეების მოწყობას განაგრძობს – რაიონს კიდევ ერთი ახალი მოსასვენებელი სივრცე შეემატება. შესაბამისი სამუშაოები ანგია ზოჭორიშვილის ქუჩაზე, N3 კორპუსთან მიმდინარეობს. ტერიტორიაზე დამონტაჟდება გარე განათებისა და სარწყავი სისტემები, მოეწყობა ბავშვთა გასართობი ზონა, ჩატარდება გამწვანების სამუშაოები – დაიგება ბალახი და დაირგვება ხე-მცენარეები, ასევე, განთავსდება სკვერისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

მინდა, მოგაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი ერთ-ერთი ერთგული და გამორჩეული თანამშრომლის შესახებ. ზოგადად, თბილისის მერიაში ძალიან ბევრი გამოცდილი და პროფესიონალი კადრი მუშაობს, მაგრამ ერთ სტრუქტურაში მუშაობის 40-წლიანი უწყვეტი სტაჟი განსაკუთრებული და იშვიათი გამონაკლისია. ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის თანამშრომელმა **ლალი პატარაიამ** 40 ნაყოფიერი წელი მიუძღვნა თბილისის მერიას. იგი მუნიციპალიტეტს 1986 წლის იანვრიდან ემსახურება, 2016 წლიდან დღემდე კი ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურში მთავარ სპეციალისტად მუშაობს.

**ვფიქრობ, ასეთი ერთგულება და პროფესიონალიზმი ორგანიზაციის სტაბილურობისა და წარმატების ქვაკუთხედია. გულწრფელ მადლობას გიხდით ასეთი შრომისა და მუნიციპალიტეტის საქმიანობაში შეტანილი წვლილისთვის. ვამაყობთ, რომ ჩვენი გუნდის ასეთი ღირებული წევრი ბრძანდებით. მინდა გისურვოთ წარმატებები, ჯანმრთელობა და დარწმუნებული ვარ, თქვენ კიდევ ბევრი წლის განმავლობაში დაეხმარებით თქვენს სამსახურს, თქვენი საქმით, ცოდნით და პროფესიონალიზმით.**

**პატივისცემის ნიშნად მადლობის სიგელი გადაეცა.**







## შესავლის მაგიერ

**ფართო და მრავალმხრივია გვარის მნიშვნელობა. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იგი ორგვარი გაგებით არის წარმოდგენილი. უფრო მეტია მისგან წარმოქმნილი ფორმები, მისი მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტები და ფრაზეოლოგიური შენაერთები. იგი პირველყოვლისა, ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები, საერთო შრომაში ჩაბმული და ნათესაურად დაკავშირებული ადამიანთა უძველესი სოციალური ჯგუფის ნიშანია.**

**გვარ-სახელი ადამიანის მეორეული დამატებითი საკუთრების აღმნიშვნელია, რომლის დანიშნულებაა გამოარჩიოს მრავალთაგან ერთი კონკრეტული პიროვნება, დაასახელოს იგი შთამომავლობითი ნიშნის მიხედვით, როგორც ამა თუ იმ ოჯახის სახლეულის,თუ გვარ-ტომის წარმომადგენელი. ქართულ ფრაზეოლოგიაში გვარი ადამიანის ღირსების, მისი მაღალზნეობრიობის მაჩვენებლადაც არის ნახმარი. ამის საფუძველზეა შექმნილი სიტყვები – გვარიშვილი და გვარიშვილობა (ილია მაისურაძე, „ქართული გვარსახელები“, 1979 წელი, გვ. 7-10).**

# ცალანთა საგვარეულო მატიანე

## ცალანთა გვარეულობა

**ცალანი ევონომიური წარმოშობის გვარია. მის ფუძეში დევს წინაპრის საკუთარი სახელი „ცალა“, ცალა-დან მომდინარე, სუფიქსი კი ტრადიციული ქართული ფორმატია-ანი(იანი), ცალანი (ცალანიანი), ამავე ფუძისაა ცალიანი.**

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ეცერის თემის სოფელ ცალანარში მცხოვრები ცალანები ადგილობრივი გვარია. გვარის სალოცავი იქვე მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა.ცალანარიდან ცალანების ნაწილი საცხოვრებლად გადასულან ფარის თემში, სოფელ ფარში, ლუჰაში და ბეჩოს თემში. მათივე გადმოცემით სამეგრელოში მცხოვრები ცანავები და ცალანები ერთი და იგივე გვარი ყოფილა, ცანავების წინაპრები გადასულან ლუჰადან, ძველად ლუჰაში მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესიაში სალოცავად უვლიათ, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში მარტვილელ ცანავებს მარიამობის ბრწყინვალე დღესასწაულზე ამოჰყავდათ შესაწირი, იხდიდნენ წინაპართა სულის მოსახსენიებელ პარაკლისს, უვლიდნენ წინაპართა საფლავებს და ნათესაური ურთიერთობები ჰქონიათ ცალანებთან.

ცალანთა გვარის ანუ სვანური „სამხუბის“ შიგნით თვალნათლივ გამოიყოფა დანაყოფები და განშტოებები. ეს განშტოებებია: ჩაგულშერები, შუნნიშერები, ბიჭოშერები, თაზოშერები, ბუდაჩარები, ყარზეგშერები, აბრამშერები და ნექეშერები. ნექეშერების განშტოების არსებობა შეწყდა XXI საუკუნის დასაწყისში, როცა გარდაიცვალა მათი უკანასკნელი მამაკაცი ომანა ცალანი.

ცალანარში მცხოვრები ცალანები არიან ბიჭოშერების შტოს წარმომადგენლები (ბეჩოში მცხოვრები ყარზეგშერები, ფარში და ლუჰაში მცხოვრებლები – შუნნიშერები, აბრამშერები და ბუდაჩარები, ლაყურიში და აფხაზეთის სვანეთის სოფლებში:საკენში, ოზურღვანში მცხოვრებლები – ჩაგულშერები. სამეგრელოში კი პირდაპირ ცანავები თავის დროზე ალბათ ცანაშერებად (ცანაშებად) იწოდებოდნენ. **(დავით ჭითანავა, სვანეთის ეთნოგრაფიული მასალები, 2012 წელი).**

ფრიად საინტერესოა ცალანთა გვარის ისტორია, ამ გვარის წარმოშობის შესახებ უდავო ისტორიული წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება, მაგრამ მისი როლის შესახებ მინიშნებას გვაძლევს წარსულში მამულისათვის ძნელბედობის ჟამს, ეროვნული საგანძურის დაცვისა და გადარჩენის საქმეში სვანეთის, როგორც რეგიონის ისტორიული მისია. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ თავის ერთ-ერთ ქადაგებაში მოცემული შეფასებით

**„სვანეთი არის საოცარი, სასიქადულო და საამაყო კუთხე საქართველოსი, აქ ცხოვრობენ ქართველები, რომელნიც საუკუნეების მანძილზე იცავდნენ და იცავენ სიწმინდეს, იცავენ ჩვენს საუნჯეებს, ჩვენს ჯვრებს. სრულიად საქართველომ სწორედ ამ კუთხეს ანდო თავისი დიდი საუნჯე.“**

ხალხში დღემდე შემონახული ზეპირი გადმოცემის თანახმად, ამ დიდ ეროვნულ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ცალანთა საგვარეულოსაც. ამ გვარის წარმოშობა უკავშირდება მესტიის რაიონის ეცერის თემს, სადაც არის ერთი პატარა და ლამაზი სოფელი ცალანარი. გადმოცემის თანახმად, თავდაპირველად, ეს სოფელი მხოლოდ ცალანთა გვარის წარმომადგენლებით ყოფილა დასახლებული. სოფელში დღემდე შემორჩენილია **ცალანთა საგვარეულო მურყვამი“-ს** (კოშკის) ნანგრევები. იგი საბჭოთა პერიოდში დაუნგრევიათ კომუნისტებს. დარჩენილია 6-7 მეტრის სიმაღლის კედელი, რაც ისე მტკიცედ ყოფილა ნაშენები, ნგრევას გადარჩენილა და შესანიშნავადაა შემონახული აბრამშერების შტოს კუთვნილი მურყვამი ზედა ლუჰაში, რომ მისი დანგრევა ვერაფრით მოუხერხებიათ. საგვარეულო ციხე-კოშკის არსებობა მეტყველებს ცალანთა წარმატებულ გვარიშვილობაზე, გვარის ავტორიტეტსა და სიძლიერეზე, რამდენადაც საგვარეულო სალოცავებისა და ციხე-კოშკების მშენებლობის უფლება არ უკავშირდებოდა მხოლოდ მატერიალურ შესაძლებლობას. ასეთი უფლების მოპოვება რჩეულ გვართა ხვედრი ყოფილა. სოფელ ცალანარში დღემდეა შემორჩენილი ცალანთა საგვარეულო სალოცავი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც თავის დროზე, თლილი ქვის პერანგით ყოფილა მოპირკეთებული.





დროთა განმავლობაში, გაიზარდა ცალანთა საგვარეულო და დღეის მდგომარეობით მისი წარმომადგენლები ცხოვრობენ მესტიის რაიონის შემდეგ სოფლებში: ბეჩო, ლატალი, ფარი, ლუჰა, ლაყვრი, ჭუბერი, ასევე დალის ხეობის სოფლებში – საკენსა და ტიშში. ცალანთა გვარის წარმომადგენლები სახლობენ საქართველოს სხვადასხვა რაიონში: ზუგდიდის, გალის, მარნეულის, ბოლნისის, დმანისისა და თელავის რაიონებში, თბილისში, ქუთაისში და საზღვარგარეთაც – რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, ინგლისში, აშშ-სა და ისრაელში (ისტორიიდან ცნობილია, რომ სვანეთში არც თუ იშვიათი მოვლენა იყო გვარებს შორის მტრობა და შუღლი. ადგილი ჰქონდა ცალკეულ პირთა გასვლას კუთხიდან და კონსპირაციის მიზნით გვარის შეცვლას).

**თავის უნიკალურ ისტორიულ ნაშრომში „ფუსტები“ ქართული სამხედრო საეკლესიო ორდენის მემატიანე, ა. გიორგობიანი აღწერს, რომ წარსულში, ქართულ ეკლესიასთან არსებობდა „სამხედრო-საეკლესიო რაინდთა ორდენი“, რომლის უმთავრესი დანიშნულება იყო მამულისათვის ძნელბედობის ჟამს, დაეცვა და გაეხიზნა მთაში ქრისტიანული საეკლესიო სიწმინდეები, საეკლესიო-სამონასტრო ქონება და მათთან ერთად სასულიერო პირები და მომსახურე პერსონალი. არსებობდა ორი ძირითადი საევაკუაციო (სახიზარი) გზა. ორივე თამარის გზად იყო წოდებული. ერთი მათგანი, მდინარე ენგურის გაყოლებით, ეცერში, სოფელ ცალანარის გავლით მიემართებოდა მესტიისაკენ. რთულად გასავლელი ამ გზით არაერთხელ ასულა სვანეთში თვით თამარ მეფე. ერთ-ერთი ასეთი ასვლის შემდეგ მდინარე ენგურის ნაპირზე ადგილობრივ მცხოვრებლებს შეუნიშნავთ ნალით დაჭედილი ჯორის ნაკვალევი, ამიტომაც ამ სოფლისთვის დაურქმევიათ „ჯორკვალი“ და მას დღემდე შემორჩა ეს სახელი. რაც შეეხება მეორე გზას, იგი იწყებოდა სოფელ საზანოში (ისტორიული სკანდე) და საჩხერის გავლით ადიოდა რაჭაში, საიდანაც ფუტიეთ-ლიხეთის გზით შედიოდა მესტიასა და ეცერში. ეს გზაც გადიოდა სწორედ იმ ტერიტორიაზე, სადაც არის ცალანთა საგვარეულო გუდე, დედასოფელი ცალანარი. ამ სოფლის ზევით, გორაზე, აღმართულია მთავარანგელოზ მიქაელის სახელობის ეკლესია. სვანეთში დღემდე შემონახულ უძველეს ეკლესიათა შორის იგი ერთ-ერთი გამორჩეულია ძვირფასი და უნიკალური მოხატულობით. ცალანარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მსგავსად, ამ ეკლესიაშიც ინახებოდა წარსულში ძნელბედობის ჟამს ბარიდან ამოტანილი ქრისტიანული სიწმინდეები. დასახელებული ეკლესიების მეპატრონეები ოდითგანვე ყოფილან ადგილობრივი მცხოვრებლები – ცალანთა გვარის წარმომადგენლები. ამ ეკლესიის ბოლო მსახური (1960 წლამდე) იყო ბექა ცალანი.**

ქართული სიწმინდეების დაცვის საპასუხისმგებლო მისიის შესრულება მოითხოვდა სათანადოდ გამაგრებული ციხე-სიმაგრეების მშენებლობას. მართლაც, ცალანთა სამოსახლო კერები ეცერში, ლუჰაში, ფარში, გარდა იმისა, რომ ძნელად მისადგომ ადგილას მდებარეობდა, გამაგრებული იყო „მურყვამებით“ ე.წ. ციხე-კოშკებით (პირველ სართულზე განთავსებული სამალავებითა და ზედა სართულებზე მოწყობილი სანცხერებით, ე.წ. სათოფურებით), რომლებსაც, უპირველესად, თავდაცვითი დანიშნულება გააჩნდათ.

სიტყვა „ფუსტ“ სვანურად, წმინდა სამების, უფლის არსის აღმნიშვნელი ტერმინია. იგი სათავეს იღებს ქრისტიანული ეპოქიდან და ნიშნავს დამბადებელს, დაამარსებელსა და პატრონს. იმავე პერიოდიდან, სვანეთში არსებულა ე.წ. „ფუსტის საძმო“, რომლის წევრობა ყოველგვარი ღირსებით გამორჩეულთა ხვედრი ყოფილა. ცალანთა საგვარეულო ყოველთვის ღირსეულად ართმევდა თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობას მამულის, რწმენისა და ქრისტიანული სიწმინდეების დაცვის საქმეში. ცხადია, ეს მოითხოვდა გარკვეულ მსხვერპლსაც, რასაც გვარი არასოდეს მორიდებია. უფალმა ალბათ, ამიტომაც გადაარჩინა და დღევანდელ დღემდე მოიყვანა ეს მცირერიცხოვანი, მაგრამ წმინდა და შეურცხვენელი გვარი. მაშინ როდესაც ისტორიული ძეგლები გვიდასტურებენ, რომ მხოლოდ სვანეთის კუთხეში ოთხასზე მეტი გვარია გამქრალი. სავარაუდოდ, მათი უმრავლესობა ძნელბედობის ჟამს შეიწირა, როგორც გარეშე მტრებთან ბრძოლამ, ისე ძმათა სისხლისმღვრელმა დაპირისპირებებმა, შუღლმა და მტრობამ, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენა ყოფილა ამ რეგიონში. დღემდე შემორჩენილია საგვარეულო „მურყვამები“ და ციხე-სიმაგრეები (მთხრობელნი გახლავთ ვახტანგ და შოთა ცალანები).



**შოთა ცალანი** ცალანების გვარის წინამძღოლი იყო 2011-2024 წლებში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში 2011 წელს დაწერილი იქნა მთავარანგელოზ მიქაელის ცალნთა საგვარეულოს მფარველი ხატი, რომელიც ამავე წლის 30 ოქტომბერს აკურთხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. ამავე პერიოდში მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის თემის სოფელ ცალანარში აშენდა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომლის მშენებლობაშიც სოფელ ცალანარში მცხოვრებმა ცალანების ოჯახებმა დიდი წვლილი შეიტანეს, როგორც მატერიალურად ისე ფიზიკური შრომით.აღსანიშნავია ისიც, რომ ცალანების თითოეულმა ოჯახმა ასევე დიდი წვლილი შეიტანა ეკლესიის მშენებლობაში. მათ შორის განსაკუთრებული ფინანსური დახმარება გასწია მაიზერ ცალანმა.

**იბეჭდება საქართველოს საგვარეულოთა კავშირის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით.**

# „ქარწაღებულნი“ Сослагательное наклонение войны

**უკრაინასა და რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება ჯერ მიღწეული არ არის, მაგრამ თუნდაც რომ დოკუმენტს ხელი მოეწეროს, მისი პირობები საეჭვოა რომ უკრაინელი ხალხის მისწრაფებებს დაემთხვეს,** – წერს უკრაინული გამოცემა **„უკრაინსკა პრავდა“ (Українська правда)** სტატიაში სათაურით **„ომის კავშირებითი კილო: „ეს რომ თავიდანვე გვცოდნოდა...“** (ავტორი – **მიხეილ დუბინიანსკი). „და თუ არ დაემთხვევა, ამიტომაც ომის შემდგომ უკრაინაში პოლიტიკოსები ახალი ალტერნატიული ისტორიის წერას დაიწყებენ და თავიანთთვის უფრო მომგებიან ფინალს მოიფიქრებენ“,** – აღნიშნულია პუბლიკაციაში.

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**

УКРАЇНСЬКА ПРАВДА




## ისტორიას წარსულზე სინანული არ უყვარს!

# „ეს რომ თავიდანვე გვცოდნოდა!..“

**იყო დრო, როცა აშშ-ში სამი ყოფილი კონფედერატი (კონფედერაციის წარმომადგენელი სამოქალაქო ომის დროს) რომ შეიკრიბებოდა, სულ ომზე ლაპარაკობდნენ, ხოლო თუ ათზე მეტი, მაშინ უეჭველია, მთელი ომის მსვლელობას ხელახლა გაიხსენებდნენ და ბევრ ფაქტსა და მოვლენას განგებ შეცვლიდნენ, თან სულ ოხვრით და სინანულით: „ეჰ, ეს რომ გვცოდნოდა“... „ეჰ, ინგლისი თუ გვაღიარებდა“... „ეჰ, გენერალი ლი თუ შეუტევდა“... „ეჰ, ომი რომ კიდევ ერთი წელი გაგრძელებულიყო“... და ბოლოს ყველა ერთად: „ეჰ, შეცდომები რომ არ დაგვეშვა..“.**

მოკლედ, „რომ გვცოდნოდა“, „თუ გვაღიარებდა“, „რომ არ დაგვეშვა“... ყველაფერი კავშირებითი კილოს მიხედვით. მთავარი ამერიკული ომის შესახებ დაწერილ რომანში „ქარწაღებულნი“ მარგარეტ მიტჩელი ყურადღებას ამახვილებს ომისშემდგომ დამახასიათებელ ფენომენზე: მან, რომელმაც ბრძოლის ველზე საწადელს და სასურველს ვერ მიაღწია, მუდმივად იყენებს კავშირებით კილოს.

საბედნიეროდ, დღევანდელი უკრაინა მე-19 საუკუნის სამხრეთ შტატების კონფედერაცია არ არის – ყველაზე არასახარბიელო სამხედრო-პოლიტიკური სცენარებიც კი, რომლებსაც 2025 წელს განიხილავენ, სრულიადაც არ ჰგავს ამერიკის კონფედერატიული შტატების კრახს. და მაინც, 2025-მა წელმა თვალსაჩინო დემონსტრირება მოახდინა იმისა, რაზედაც საღად მოაზროვნე კომენტატორები ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინათ გვაფრთხილებდნენ: საომარი მოქმედებების დასრულების პირობები საეჭვოა, რომ ჩვენი საზოგადოების იმედებს დაემთხვეს.

ყველაზე პერსპექტიული ალტერნატიული ისტორია რუსეთთან ომის საწყის პერიოდთან იქნება დაკავშირებული და ყველაზე აშკარა ასე გამოიყურება: **„რუსეთისთვის რომ 2022 წელს სამაგიერო მიგვეზღო...“**. რუსეთის მოწყვლადობის დონე ომის პირველ წელს მართლაც თვალში საცემი იყო. **„კოლექტიურ დასავლეთს რომ მთელი თავისი სამხედრო ძლიერება გამოეყენებინა უკრაინის მხარდაჭერისათვის... „ევროპას და ამერიკას რომ გამოეყენებინათ მთელი თავიანთი ეკონომიკური ბერკეტები...“, „ვაშინგტონს და ბრიუსელს რუსული ბირთვული იარაღით შანტაჟის რომ არ შეშინებოდათ...“**. მსგავსი ნარატივები უკრანის დღევანდელი ხელისუფლებისათვის დიდად სასურველი იქნება, რომ მან ყველა ისარი დასავლელი პარტნიორებისაკენ მიმართოს.

იმავდროულად პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოწინააღმდეგეებისათვის მომგებიანი იქნება სხვა ნარატივი – მაგალითად, ასეთი: **„უკრაინას რომ რუსეთთან შეთანხმება დაედო ხარკოვისა და ხერსონის ოლქებში გამარჯვების შემდეგ...“**. სხვათა შორის, სხვადასხვა ოპოზიციონერები უკვე აცხადებენ, რომ კიევმა ხელიდან გაუშვა სამშვიდობო გარიგების დადების ოპტიმალური მომენტი.

თუმცა, ისიც მართალია, რომ სამი წლის წინათ არავინ არავის არ მოუწოდებდა მოსკოვთან მოლაპარაკებისათვის: არავინ არ აყენებდა ეჭვქვეშ – ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ მაინც – იმას, რომ უკრაინის არმია მალე გააკონტროლებდა დონბასს და ყირიმსაც დაიბრუნებდა.

**დიდი ალბათობით, 2022 წლის შემდგომ საომარი მოქმედებებსაც „პოსტ-ფაქტუმ“ გადახედავენ. ყველაზე საბედისწერო შეცდომად, ალბათ, არტემოვსკისთვის (ბახმუტისთვის) ბრძოლას ჩათვლიან („ჩვენ რომ იმ ხორცსაკეპში ჯარის საუკეთესო ნაწილი არ გაგვეტარებინა...“ და „2023 წელს რომ უკვე სრულიად დანგრეული არტემოვსკი დაგვეტოვებინა და მთელი ძალები სამხრეთისაკენ გადაგვესროლა კონტრშეტევისათვის...“).**

რაც შეეხება კურსკის გაბედულ ოპერაციას, ამ შემთხვევაში ყველაფერი მარტივად არ არის. დიდ მწვავე კრიტიკასთან ერთად **(„2024 წელს კურსკის ავანტიურა რომ არ დაგვეწყო და დონბასისათვის მეტი ყურადღება დაგვეთმო...“)**, სრულიად შესაძლებელია საწინააღმდეგო ვარიანტი: „ეჰ, უკრაინის არმია თუ იმ დროს **შეტევაზე გადავიდოდა და კურსკის ატომურ ელექტროსადგურამდე მივიდოდა...“**.

**„ზალუჟნი რომ თადარიგში არ გაეშვათ...“, „თუ ის სარდლად დარჩებოდა“–** ალბათ, ეს ალტერნატიული ვარიანტებიც პოპულარული გახდება. ბევრი ჩათვლის, რომ თუ ვალერი ფედოროვიჩი უკრაინის არმიის მთავარსარდლად დარჩებოდა, ქვეყანას დაზავებისა და სამშვიდობო მოლაპარაკებისათვის ბევრად უკეთესი პირობები ექნებოდა. ამ ნარატივს ჩაეჭიდებიან ის პოლიტიკოსები, რომლებიც აფილირებულნი იქნებიან ყოფილ მთავარსარდალთან. როგორც ცნობილია, ჰიპოთეტური „ზალუჟნის ბლოკი“ უკვე დღეს ლიდერობს საზოგადოებრივ გამოკითხვებში. თანაც სერიოზული ელექტორალური კონკურენტი თვითონ პრეზიდენტის ადმინისტრაციამ გამოზარდა საკუთარი ხელით.

2024 წლის დასაწყისში, როცა ვოილოდიმირ ზელენსკიმ ზედმეტად პოპულარული და არცთუ ლოიალური მთავარსარდალი თანამდებობიდან გადააყენა, პრეზიდენტმა მხოლოდ წუთიერი და მხოლოდ იმ მომენტისათვის შექმნილი პოლიტიკური ამოცანა გადაწყვიტა. მაგრამ იმავდროულად ზალუჟნის გადადგომით უფრო რთული სამომავლო პოლიტიკური გამოწვევა გაჩნდა. ყურადღება მივაქციოთ: გენერალი სწორედ იმ დროს გავიდა კონფრონტაციიდან, როცა სამხედრო მოვლენებმა უკრაინისათვის არასახარბიელო მიმართულებით განვითარება დაიწყო.

და ახლა ყოფილ სარდალს შეუძლია დაუმარცხებელი მხედართმთავრის როლში გამოვიდეს, ანუ იმ სამხედრო პირის როლში, რომლის სარდლობის დროსაც უკრაინის არმიამ ყველაზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. მართალია, ფრონტზე პრობლემები ვალერი ფედოროვიჩის სარდლობის დროსაც საკმაოდ იყო, მაგრამ მისი მომავალი ამომრჩევლები ამ „წვრილმანებს“ ყურადღებას ნაკლებად დაუთმობენ.

ომის შემდგომ პოლიტიკურ დისკურსში აუცილებლად გადავა ხმაურიანი კორუფციული სკანდალებიც, რომლებიც უკრაინას საომარი მოქმედებების დროს დამატებით აზანზარებს. დაიწყება ამ ტიპის ლაპარაკი:

**„კორუფცია რომ არ ყოფილიყო, ძლევამოსილ არმიას შევქმნიდით მოხალისეებისგან და თავიდან ავიცილებდით ჯარში იძულებით გაწვევას...“, „თუ მექრთამეებს თავებს წავაჭრიდით, მათი ფულით ისეთ მშვენიერ ჰაერსაწინააღმდეგო სისტემებს ვიყიდდით, რომ მტერი დრონებით და რაკეტებით შეტევას ვერ გაბედავდა“, „თუ ფულის დატაცება აღიკვეთებოდა, ათასობით უკრაინული წარმოების ფრთოსანი და ბალისტიკური რაკეტა გვექნებოდა“.**

რამდენად სამართლიანი და არგუმენტირებული იქნებოდა ასეთი მსჯელობა? რა თქმა უნდა, კორუფცია ძირს უთხრის ჩვენს თავდაცვისუნარიანობას, მაგრამ საეჭვოა, რომ ის ფულადი სახსრები, რომლებიც კორუფციონერ-მექრთამეებს ჩამოერთმეოდათ, უკრაინის გამარჯვებას უზრუნველყოფდა. ჯერ ერთი, რომ თანხა, მართალია, საკმაოდ შთამბეჭდავია, მაგრამ ომის ხარჯებთან შედარებით მაინც ცოტაა. მეორე – ომის სპეციფიკა იმაშია, რომ ხშირად ძალიან დიდი ფულითაც კი ვერ იყიდი და შექმნი იმას, რაც ძალიან გჭირდება.

და რაც მთავარია – კრისტალურად წმინდა და სუფთა უკრაინა კორუფციის გარეშე – ეს ზღაპრულ ალტერნატივას წარმოადგენს. ასეთი უკრაინა არასოდეს არ იარსებებს. ზღაპრებში კი ნებისმიერი სასწაული შეიძლება, ფანტაზიები უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. ამიტომაც ჩვენს მოქალაქეებს ხელს ვერაფერი შეუშლის დაიჯერონ, რომ კორუფციის გარეშე უკრაინა 45 თვეში შეძლებდა საკუთარი ბირთვული იარაღისა და მისი მიზნამდე მიტანის საშუალებების შექმნას.

დაბოლოს, რუსეთთან დადებული ნებისმიერი ზავი და სამშვიდობო ხელშეკრულება გააჩენს ნარატივს – **„ეჰ, ცოტა კიდევ რომ გაგვეძლო...“**. უკრაინაში დღემდე პოპულარულია თეორია იმისა, რომ გამომფიტველი ომის პირობებში ჩვენ უფრო მეტი უპირატესობა გვექნებოდა, ვიდრე რუსეთს და რომ დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს. ამ თეორიის რადიკალური ადეპტები (მომხრეები) აუცილებლად გააკრიტიკებენ სამხედრო მოქმედებების მიმდინარეობას: შეეცდებიან იმის დამტკიცებას, რომ რუსეთი ცოტაც და ჩამოიშლებოდა, ანუ **„კრემლის კრახამდე ერთი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი, ჩვენი მომლაპარაკებლები კი აგრესორ რუსეთს ფაქტიურად დაეხმარნენ“.**

**„ჩვენ რომ სამხედრო მოქმედებები ახლა არ შეგვეწყვიტა, ომის დასრულება უკრაინისათვის უფრო მძიმე და არასახარბიელო პირობებში მოგვიწევდა“** – ეს ნარატივი იქნება შეთავაზებული უკრაინელებისათვის, როგორც მშვიდობის მოყვარულთა გამამართლებელი არგუმენტი. ისინი შეეცდებიან იმის დამტკიცებას, რომ ცუდისა და უარესი სცენარის არჩევანის დროს ქვეყანამ სწორი ნაბიჯი გადადგა.

**პოლარული „თუ“-ებისა და „რომ“-ების შეჯახება უკრაინას ომისშემდგომი მწვავე შიდაპოლიტიკური დაპირისპირებით ემუქრება, მაგრამ იმას, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ვერასოდეს, ვერ გავიგებთ. იმიტომ, რომ საერთოდ, ისტორია კავშირებით კილოს ვერ ითმენს, ისტორიისათვის ვარაუდები და წარსულზე სინანული უშედეგოა. რაც მოხდა, მოხდა, მას ვეღარ შეცვლი.**



**მოამზადა სიმონ კილაძე**

---

## ჩინელ მილიარდერს სუროგატი დედების დახმარებით 100-ზე მეტი შვილი გაუჩნდა



**ჩინელ მილიარდერს სუი ბოს, რომელიც ვიდეოთამაშების კომპანიას Duoyi Network მართავს, ამერიკის შეერთებულ შტატებში სუროგატი დედების დახმარებით 100-ზე მეტი ბავშვი გაუჩნდა.**

ბიზნესმენი „დინასტიის“ შექმნას გეგმავს. ჩინურ სოციალურ ქსელ Weibo-ს ანგარიშებში, რომლებიც, სავარაუდოდ, ბოს ეკუთვნის, ნაპოვნია პოსტები იმის შესახებ, რომ **„მეტი ბავშვის გაჩენას ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლია“**. სხვა პოსტებში ბიზნესმენი ოცნებობდა იმაზე, თუ როგორ შეძლებდნენ მისი შვილები ილონ მასკის შვილებზე დაქორწინებას.

Weibo-ს სხვა ანგარიშიდან კაცი 2023 წელს წერდა, რომ 50 „მაღალი ხარისხის ვაჟის“ ყოლაზე ოცნებობს. ნოემბერში სუის ყოფილმა შეყვარებულმა **ტან ცზინმა** განაცხადა, რომ კაცს 300 ბავშვი ჰყავს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ. Duoyi Network-მა უარყო ცზინის განცხადება 300 ბავშვის შესახებ, თუმცა აღნიშნა: **„აშშ-ში სუროგატული დედობის დახმარებით მრავალწლიანი ძალისხმევის შემდეგ, სუის ასზე ოდნავ მეტი ბავშვი ჰყავს“.**

## იტალიის მთებში დინოზავრების ათასობით ნაკვალევი აღმოაჩინეს

**ჩრდილოეთ იტალიის სტელვიოს ეროვნულ პარკში დინოზავრების ათასობით ნაკვალევი აღმოაჩინეს, რომლებიც 210 მილიონი წლით თარიღდება. ისინი ფოტოგრაფმა ელიო დელა ფერერამ იპოვა.**

ნაკვალევები, რომელთა დიამეტრიც ზოგჯერ 40 სანტიმეტრს აღწევს, პარალელურ რიგებადაა განლაგებული. ბევრ მათგანზე მკაფიოდ ჩანს თითებისა და ბრჭყალების კვალი. პალეონთოლოგების ვარაუდით, ეს ნაკვალევი პროზავროპოდებს ეკუთვნით – ბალახისმჭამელებს, რომლებსაც გრძელი კისერი, პატარა თავი და ბასრი ბრჭყალები ჰქონდათ.





# თანამედროვე ქართული პოეზიის ხევისბერი



**„ქართული პოეზიის სინდისი“,„საქართველოს ეროვნული სული“, „ღვთისა და ერის კაცი“, „მთისა და ბარის მესაიდუმლე“** – ასეთი ეპითეტებით ამკობენ ბატონ **ტარიელ ხარხელაურს** თანამოძმენი. იგი ვერ შეცვალა დრომ და ვერც წლებმა. მართლაც სახალხო პოეტი 80 წლისა გამხდარა.

იგი ბოლო წლებია ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კალმოსანია, რომელიც ყოველთვის ჩრდილში ყოფნას იყო ჩვეული და თავისმა პოეზიამ, ხალხის სიყვარულმა, ტრადიციების ერთგულებამ და თანდაყოლილმა სულიერმა სიწმინდემ გამოიყვანა ამ ჩრდილიდან.

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით რუსთაველის თეატრში პოეტის 80 წლის იუბილეს აღსანიშნავი საღამო გაიმართა. საღამოს პოპულარული თეატრმცოდნე და ჟურნალისტი **ნიკოლოზ წულუკიძე** უძღვებოდა. მან პროფესიონალზმითა და შემოქმედის ცხოვრების ღრმა ანალიზით დიდი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა განსხვავებული ხედვითა და სიყვარულით წარმოაჩინა.

საყოველთაოდ აღიარებულ პოეტს იუბილე კულტურის მინისტრმა **თინათინ რუხაძემ** მიულოცა.

**ცნობილმა მსახიობებმა პოეტის ლექსები წაიკითხეს.**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ულოცავს ბატონ ტარიელ ხარხელაურს საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობასა და სულის სიმტკიცეს უსურვებს საქართველოს გადარჩენასა და აღორძინებაზე მლოცველ კაცსა და ალალმართალ პოეტს.

მრავალჟამიერ, ბატონო ტარიელ, კიდევ მრავალ წელს ეფერეთ თქვენს სათაყვანებელ სამშობლოსა და ხალხს.

**აქვე გთავაზობთ რამდენიმე ლექსს.**



## ტარიელ ხარხელაური

### ვერ აგაცილე დაღლა

ვერ აგაცილე დაღლა –
გბანდი, ცრემლებით გრწყავდი.
ვერ აგიყვანე მაღლა,
ვერ აგამაღლე ცამდის.
სტირი,
უჩემოდ სტირი,
ნანობ, უჩემოდ ნანობ,
ვერ გიმკურნალე ტკივილს
ჩემი ტკივილის გამო.
მე გაგიხუნე ფერი,
ცრემლი გიქციე წყაროდ,
ვერ შეგაშველე ხელი –
ვერ გაგიფრთხილდი, ქალო.
ისევ გარიდებ თვალებს,
წარბებს ქვემოდან გიმზერ,
ვერ დაგისვენე მთვარე
მკერდთან შებნეულ ღილზე.
ტვირთად გიქციე წლები,
ჩასცქერ ჩაღვენთილ სანთელს,
ვერ გავუმაგრე ფრთები
შენ რომ მიზრდიდი – მართვეს,
ვწუხვარ, ვეღარა გშველი,
არც სურვილი მაქვს ამის.
ვდგავარ ნისლიან ველის
და გასაყართან ღამის.
გასვლა შენგანაც მინდა,
გავალ ღრუბლების ზემოთ,
მზე მე გიქციე ბინდად,
მე დაგაღამე ჩემო.
ვერ აგარიდე დაღლა,
გბანდი – ცრემლებით გრწყავდი.
ვერ აგიყვანე მაღლა,
ვერ აგამაღლე ცამდის...

### დაზამთრდა...

დაზამთრდა
თოვლი არც ისე მიკვირს
და არც სიცივე –
სისხლში რომ ატანს
მე მეშინია ამ ატმის კვირტის,
გაზაფხულზე რომ
ვერ გახსნას მარტმა.
მე მეშინია დამშრალი ღელის,
თოვლის ქვეშ რომ წევს და
უგონოდ სძინავს
და გვირილათა გაყინულ ველის,
გამოღვიძება ვერ შესძლოს წვიმამ.
დასაწყისი არ მაფიქრებს ზამთრის –
როგორ შევხვდები ზამთრის დასასრულს?!
ვაი, თუ ისევ დავობდე სახლში,
რომ ცეცხლთან მჯდომი
დავხვდე გაზაფხულს,
მე მეშინია შენი – შენს გამო,
არა თებერვლის ცივი ქარების,
გავიღვიძო და აღარ ვეწამო,
არ მომწყურდე და არ მეყვარები.
გავიღვიძო და მთათა კალთებზე
აღარ მიცდიდნენ ლეგა ნისლები,
იქნებ სჯობია,
აღარ გავთენდე,
მოვკვდე და
ნუღარ გარდავიცვლები.
არ მინდა შენი ჭკნობა ვიხილო,
ვიხილო შენი დაშლა ფერებად,
ჩემს მერე შენთან მოვა
სიკვდილი
და მკერდზე ცივად მოგეფერება.
დაზამთრდა,
თოვლი არც ისე მიკვირს,
არც ეს სიცივე –
სისხლში რომ ატანს,
მე მეშინია ამ ატმის კვირტის –
გაზაფხულდეს და
ვერ გახსნას მარტმა.

# გამოვიდა ლიტერატურულ ალმანახ „ხორნაბუჯის“ 2025 წლის 2(19) ნომერი!

# საახალწლო საჩუქარი დედოფლისწყაროდან

ალმანახის რედაქტორია **გიორგი ნატროშვილი**. გარეკანი გაფორმებულია **თემურ პოპიაშვილის** ფოტოთი და **ცარო ჯანაშვილის** ნამუშევრებით. ყდის მე-2 გვერდი **მიხა ხელაშვილის** დაბადებიდან 125-ე და გარდაცვალებიდან მე-100 წლისთავისადმია მიძღვნილი და გვთავაზობს მის ლექსს – „ლექსო ამოგთქომ ოხერო“. ყდის მე-3 გვერდზე იხილავთ მოკლე ბიოგრაფიულ ინფორმაციას **ცარო ჯანაშვილის** შესახებ, რომლის ნამუშევრებითაც არის გაფორმებული ალმანახის გარეკანის მე-4 გვერდი.

ალმანახი იხსნება შესანიშნავი შემოქმედების – **ვაჟა ოთარაშვილის** და **გია პაპუაშვილის** 70 წლის საიუბილეო მილოცვებით, რომელსაც ამშვენებს მათივე ლექსები.

შემდეგი გვერდები ეთმობა ლიტერატურელ კონკურს-ფესტივალ ქუჯი-2025-ს, სადაც იხილავთ სამი გამარჯვებული ავტორის (მელანო **ზუკაკიშვილი**, **მირანდა ერისთავი**, **გიორგი გულუა)** ლექსებსაც; ასევე **ლერი ალიმონაკის** წერილს „ზეციური რაინდები“ და **რეზო(ემილიანე) ადამიას** წერილს „მეფე ქუჯი – მარადიული აღმსარებლობა“.

რუბრიკაში „პოეზია“ მკითხველი გაეცნობა: **ჯემალ ინჯიას, მანუჩარ ლეჟავას, გიორგი მირაზანაშვილის**, **ნანა ბეგიაშვილის**, **ლალი მეხრიშვილის**, **თემურ ბაკურაძის**, **ნათელა ქურციკიძეს** და **ანა მანოშვილის** ლექსებს. იგივე რუბრიკაში 35-ე გვერდიდან შეგიძლიათ წაიკითხოთ **ნოდარ ჟიჟიაშვილის** პოემის „ბოლშევიკურად ჯვარცმული“ პირველი ნახევარი, რომელიც მიხა ხელაშვილს ეძღვნება(პოემის დასასრულს შემდეგ ნომერში იხილავთ).

რუბრიკაში „პროზა“ წაიკითხავთ **ლალი მეხრიშვილის** ნოველა-ჩანახატს „ძოწისფერი თბილისი“ და **მარიამ ძამუკაშვილის** მოთხრობას „ჭიავ, ჭიავ, მაპოვნინე!...“




რუბრიკა „საბავშვო გვერდი“ **ნუნუ ძამუკაშვილის** ლექსებს ეთმობა.

რაც შეეხება „თარგმანს“, აქ შეგიძლიათ წაიკითხოთ გერმანელი ავტორის **კარლ ერნსტ კნოდტის** ლექსების **გიორგი ვარამაშვილისეული** თარგმანი.

რუბრიკაში „პუბლიცისტიკა“ გაეცნობით ფიროსმანის დის ფეფეს შთამომავლის **ლეილა გოზალიშვილის** წერილს „ფიროსმანის ნაკვალევი“, **გიორგი გოგოლაშვილის** და **თამაზ ხმალაძის** დიალოგურ ნოველას „მე რომ ყაყიტა მრქმეოდა“, **გიორგი ზუზიტაშვილის** წერილს „შურისგების საკითხი დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხეში“ და **ლინა ბადაშვილის** წერილს „გაორებული პიროვნება აბსურდის თეატრში“, რომელიც **ბესო ხვედელიძის** პიესას „ორი მე“ მიმოიხილავს.

რუბრიკაში „ხელოვნება“ საშუალება გექნებათ, ორი წერილი წაიკითხოთ. **მარიკა პოპიაშვილის** წერილი „ოპერა შენს ქალაქში“ ეძღვნება ქართული ოპერის ვარსკვლავების სტუმრობას დედოფლისწყაროს სამუსიკო სკოლაში; ხოლო **ნანა ჭიჭინაძის** წერილი „გულთბილი შეხვედრა დდოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში“ ეძღვნება 2025 წლის საუკეთესო ადამიანების და 2025 წლის ეპოქის ადამიანების გამოვლენა-დასახელებას. 2025 წლის საუკეთესო ადამიანების ეგიდით დასახელებული **გიორგი ბუგიანაშვილი** (ბორჯომის ანსამბლის ხელმძღვანელი) და **გიორგი კალანდია** (ეროვნული ხელოვნების სასახლის გენერალური დირექტორი) საპატიო სტუმრების ეგიდით ესწრებოდნენ ამ შეხვედრას. ბოლო რუბრიკა კი ეძღვნება დავით გურამიშვილის 320 წლისთავს. ორი წერილი, რომელთა ავტორია **თამარ გაბოძე**, მთარგმნელი და ქართულ-უკრაინულ ურთიერთობათა მკვლევარი, ასახავს როგორც უკრაინაში, მირგოროდში, დავით გურამიშვილისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებას, ასევე 2025 წლის 5 ოქტომბერს თბილისში, მწერალთა სახლში, ჩატარებულ ღონისძიებას, რომელსაც უკრაინიდან ჩამოსული სტუმრებიც ესწრებოდნენ: მირგოროდის დავით გურამიშვილის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის დირექტორი მარინა კამინსკა და მეცნიერ-მუშაკი ანატოლი კუცენკო.






# ხვიჩა კვარაცხელია — მეტოქეთა რისხვა სამი ფილტვით

**ამ ბიჭს სამი ფილტვი აქვსო – განაცხადა ზაფხულში ელისეს სასახლეში ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორთა საზეიმო მიღებაზე საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა ხვიჩა კვარაცხელიას შესახებ.**

გასაგებია, რომ მასპინძელმა დიდი დოზით იხუმრა, მაგრამ არც მთლად უმაგისობაა, თუმცა ჩვენ ოქროს ბიჭუნას არც ოსტატობა აკლია და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – იღბალი.

დიახ, ხანმოკლე იტალიურ კარიერაში მან ორი სკუდეტოს მოხვეჭა მოასწრო და ნაპოლის **მარადონას** ეპოქის ხიბლი დაუბრუნა, პარი სენ-ჟერმენში კი არასრულ 1 სადებიუტო სეზონში უკვე მე-6 ტიტულის მფლობელი გახდა.

## საკონტინენტთაშორისო თასის ფინალი

დოჰა (კატარი)

**პარი სენ-ჟერმენი — ფლამენგო 1:1**

პენალტებით 2:1

ლეგენდარული **ზიკოს** მშობლიურ კლუბთან ჩვენ ძველი ანგარიშები გვქონდა გასასწორებელი: დიდი **ნოდარ ახალკაცის** ფორმაციის თბილისის დინამო ესპანეთის კურორტ უელვაში გამართულ ოთხთა წინასასეზონო ტურნირზე პენალტების სერიაში სწორედ აღნიშნულ ბრაზილიურ გრანდთან დამარცხდა (ძირითადი დრო 2:2) და გოლები მეტოქეს **შენგელიამ** და **თავაძემ** გაუტანეს. სიმბოლურია, რომ სახელოვან წინაპართა სახელით რევანში ხვიჩას გუნდმა მატჩისშემდგომ ლატარიაში აიღო, თანაც, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ანგარიში სწორედ კვარამ გახსნა.

წერილის შესავალში ქართველი ლეგიონერის ყისმათიანობა შემთხვევით არ გვიხსენებია – წოდებებს რომ თავი დავანებოთ, მან ბურთის გატანა მოახერხა როგორც ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ისე ერთადერთ ურეგალიო ტურნირზე – მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე, სადაც ლუის ენრიკეს შეგირდები ფინალში ჩელსისთან დამარცხდნენ. და აი, მორიგი ზუსტი დარტყმა, რაც კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ მართლაც ძლიერებს უმართლებთ.

სხვათა შორის, ფორტუნა თუ არსებობს, სწორედაც რომ ფრანგულ გიგანტზე ითქმის, რადგან ძირითადი დამავებული მეკარის რუსმა შემცვლელმა **სათონოვმა** სერიაში 5-დან 4(!) პენალტი მოიგერია, ასეთი შემთხვევა კი მხოლოდ სტიაუას გოლკიპერ **დუკადამთან** დაკავშირებით გვახსენდება ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბარსელონასთან.

**მოკლედ, თაოგის ლიდერი ხვიჩა ასფურცელას ტემპებით მიუყვება კახი კალაძის გაკვალულ ბილიკს და მეორე ქართველია, ვინც ეს ჯილდო მოიგო. ვულოცავთ!**

# რჩეულთა გალერეა



**საქართველოს პარალიმპურმა კომიტეტმა 2025 წლის შემაჯამებელი ღონისძიება ჩაატარა.**

გამოავლინეს წლის საუკეთესო გუნდის, მწვრთნელის, მსოფლიოსა და ევროპის რეკორდსმენების, საუკეთესო პარაათლეტი კაცისა და ქალის ნომინაციათა გამარჯვებულები, ასევე განსაკუთრებული პრიზი გადაეცა სპორტის მედიცინის ასოციაციას.

2025 წლის საუკეთესო გუნდის ტიტული პარაძიუდოს ნაკრებს გადაეცა, საუკეთესო მწვრთნელი კი პარაძიუდოს ნაკრების ხელმძღვანელი **ლევან ქოჩიევი** გახდა. მსოფლიოსა და ევროპის რეკორდებისთვის დაჯილდოვდნენ პარაძალოსანი **აკაკი ჯინჭარაძე** და უსინათლო პარაძალოსანი **მირიან გოგნაძე,** სპორტის მედიცინის განსაკუთრებული პრიზი კი **ზურაბ კახაბრიშვილს** გადაეცა.

2025 წლის საუკეთესო პარაათლეტი კაცი **გიორგი ქალდანი,** 2025 წლის საუკეთესო პარაათლეტი ქალი კი **ნინა თიბილაშვილი** გახდა.

ღონისძიებას საქართველოს სპორტის მინისტრი **შალვა გოგოლაძე** დაესწრო.

# უნიკალური მიღწევა

**საქართველოს ველოსპორტის ნაკრებმა სენსაციური შედეგები დააფიქსირა ბენტო პესოას საერთაშორისო თასზე, რომელიც პორტუგალიის ქალაქ ანადიაში გათამაშდა.**




შეჯიბრის პირველ დღეს შესანიშნავად იასპარეზა **მიხეილ ხუჭუამ,** რომელმაც ორ დისციპლინაში მოიპოვა გამარჯვება – ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა როგორც გამოვარდნით, ისე სკრეჩის რბოლაში.

ამავე დისციპლინაში მესამე ადგილი ასევე ქართველმა ველოსიპედისტმა, **გიორგი გაბრიჭიძემ** დაიკავა.

ქართველმა სპორტსმენებმა მეორე დღესაც წარმატებით იასპარეზეს: მიხეილ ხუჭუამ სკრეჩის რბოლაში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო გიორგი გაბრიჭიძემ ქულებით რბოლაში (ფოინთ რეისი) ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საერთო ჯამში, საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, რაც ველოსპორტში ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებისთვის ისტორიული შედეგია.




# ეს დიდი პატივია

**ახლახან გამართულ პრესკონფერენციაზე მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა წყალბურთელმა დენეშ ვარგამ ახლადშექმნილ თბილისის „აპოლოსთან“ (ყოფილი სპორტმენეჯმენტი) კონტრაქტი ოფიციალურად გააფორმა.**

**ვარგას ტიტულების ჩამონთვალი ასეთია:** უნგრეთის 12-გზის ჩემპიონი, ჩემპიონთა ლიგის სამგზის გამარჯვებული, ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ევროპის საწყლოსნო ფედერაციის (LEN) ოფიციალური წყალბურთის ელჩი.

„აპოლოში“ გადმოსვლამდე დენეშ ვარგა უნგრულ „ფერენცვაროშში“ თამაშობდა.

თებერვალში „აპოლო“ კონფერენციის ლიგის გათამაშების ჯგუფური ეტაპზე ითამაშებს, სადაც C ჯგუფში მისი მეტოქეები „მონპელიე“ (საფრანგეთი), „დე აკერი“ (იტალია), „პრიმორიე რიეკა“ (ხორვატეთი) და „ჰონვედი“ (უნგრეთი) იქნებიან. მატჩები 2026 წლის 20-22 თებერვალს გაიმართება.

# პარიზელთა ბენეფისი

**ფიფას ყოველწლიური დაჯილდოების – ბესტ ფუტბალ ევორდსი – ცერემონიის თანაწამყვანობის პატივი ამჯერად ლეგენდარულ იტალიელს ალესანდრო დელ პიეროს ხვდა წილად.**

კატარის დედაქალაქ დოჰაში გამართული პომპეზური ღონისძიების გამარჯვებულები ეროვნული ნაკრებების მწვრთნელებისა და კაპიტნების, აგრეთვე გულშემატკივრებისა და ჟურნალისტების გამოკითხვით გამოვლინდნენ.

ნომინაციების მიხედვით არჩევანი შემდეგ კანდიდატურებზე შეჩერდა.

**ფეხბურთელი:** უმან დემბელე (პსჟ). **კონკურენტები:** ჰაკიმი, მენდეში, ვიტინია (პსჟ), კეინი (ბაიერნი), მბაპე (რეალი), პალმერი (ჩელსი), პედრი, რაფინია, იამალი (ბარსელონა), სალაჰი (ლივერპული).

**მწვრთნელი:**

ლუის ენრიკე (პსჟ). **კონკურენტები:** აგირე (მექსიკის ნაკრები), არტეტა (არსენალი), ფლიკი (ბარსელონა), მარესკა (ჩელსი), მარტინესი (პორტუგალიის ნაკრები), სლოტი (ლივერპული).

**მეკარე:** ჯანლუიჯი დონარუმა (პსჟ, სიტი). **კონკურენტები:** ალისონი (ლივერპული), კურტუა (რეალი), მარტინესი (ასტონ ვილა), ნოიერი (ბაიერნი), რაია (არსენალი), ზომერი (ინტერი), შჩესნი (ბარსელონა).

**სიმბოლური ნაკრები:** დონარუმა, ჰაკიმი, პაჩო (პსჟ), მენდეში, ვან დაიკი (ლივერპული), პალმერი, ბელინგემი (რეალი), ვიტინია, პედრი, დემბელე, იამალი.

**გოლი** (პუშკაშის პრიზი): სანტიაგო მონტიელი (ინდოპენდიენტე).

ფეხბურთელი **(ქალი):** სარინა ვიგმანი – გლოცბახი (ინგლისის ნაკრები).

**მეკარე** (ქალი): ჰანა ჰემპტონი (ჩელსი, ინგლისის ნაკრები).

**სიმბოლური ნაკრები** (ქალები): ჰემპტონი, ბატლიე, პარედესი (ბარსელონა), უილიამსონი (არსენალი), ბრონზი (ჩელსი), პინა, გიხარო (ბარსელონა), ბონმატი, პუტელიასი (ბარსელონა), რუსო, კალდენტეი (არსენალი).

**გოლი** (მარტას ჯილდო ქალებში): ლიზბეტ ოვალიე (ტიგრესი).

**გულშემატკივრები:** კლუბი ზახო (ერაყი).

**ფიფას ფეირ-პლეის ჯილდო:** ანდრეას ჰარლას ნოიკინგი (რეგენსბურგის ექიმი).

რაც შეეხება საქართველოს წარმომადგენელთა სამეულებს:

**ვილი სანიოლი:** დემბელე, ვიტინია, ჰაკიმი.

**გურამ კაშია:** დემბელე, იამალი, ვიტინია.



# „დრიფტის“ გამო ქვემო ქართლის პოლიციამ 4 ადამიანი დააჯარიმა!



შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თეთრიწყაროს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, სოციალურ ქსელში გავრცელებული ვიდეომასალის საფუძველზე, ავტომობილის განზრახ მოცურება-მოსრიალების და მოცურებით წრიული ბრუნვის განხორციელების, ე.წ. დრიფტის ფაქტზე ადმინისტრაციული საქმის წარმოება დაიწყეს.

შსს-ს ინორმაციით, სამართალდამცველების მიერ ჩატარებული მოკვლევით დადგინდა, რომ 2007 წელს დაბადებულმა ნ.გ.-მ, 2002 წელს დაბადებულმა თ.ლ.-მ, 2005 წელს დაბადებულმა ჯ.მ.-მ და 2002 წელს დაბადებულმა ლ.ვ.-მ სხვადასხვა დროს, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე დიდგორის მემორიალის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. დრიფტი გამართეს. სამართალდამცველების მიერ ოთხივე მათგანი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-17 და 121-ე მუხლის I ნაწილების შესაბამისად დაჯარიმდნენ.

# ილია კვეზერელი



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ღვაწლმოსილი მუშაკი, სამეურნეო დეპარტამენტის უფროსი

## ილია კვეზერელი

და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

პანაშვიდი: 19, 20 დეკემბერს; ისანი, უჯარმის I შესახვევი N 11, ევექსის პოლიკლინიკის გვერდით.

დაკრძალვა: 21 დეკემბერს, 13:00 საათზე, სოფელ კაკაბეთში.

# ტრაგედია თბილისში – ნუცუბიძის ქუჩაზე დედა-შვილს მანქანა დაეჯახა



**თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა. ქვეითად მოსიარულე დედა-შვილს მანქანა დაეჯახა. 45 წლამდე ქალი ადგილზე დაიღუპა.**

შემთხვევის შედეგად დაშავდა 10 წლამდე ბავშვიც, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. გამოძიება სსკ-ის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ირაკლი დანელია



ვერავინ იფიქრებდა, თუ ძალ-ღონით და სიცოცხლის ხალისით სავსე, მზიანი გულის ბიჭი ირაკლი დანელია მოულოდნელად, 38 წლის ასაკში განერიდებოდა ამ მუხთალ წუთისოფელს.

„სცდების და სცდების სიკვდილსა ვინც არ მოელის წამისად — ჭეშმარიტად ასე ყოფილა, მართლაც წამში გათავდა სულით და ხორცით ლამაზი ვაჟკაცის ირაკლი დანელიას სიცოცხლე. არადა, ასეთი გონიერი და ღონიერი, შრომისმოყვარე, თავმდაბალი, პატიოსანი და მიმტევებელი რაინდების სიცოცხლე ამშვენებს ბედკრულ საქართველოს!..

მშობლებთან ერთად, აფხაზეთიდან დევნილი ბავშვი ერთხანს მარტვილის რაიონის მშობლიურ სოფელ ნაჯახაოში ცხოვრობდა და სწავლობდა, მერე, ოჯახთან ერთად თბილისს მოაშურა და აქ დედაქალაქის 94-ე საჯარო სკოლა დაამთავრა. წარმატებით განვლო სტუდენტობის წლებმაც სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე და... სად არ სცადა ბედი, რომ ოჯახს მატერიალურად შეხიდებოდა. იმუშავა პოლონეთში, ისრაელში, თურქეთში და ბოლოს ისევ საქართველოში, სადისტრიბუციო კომპანია „დაფნაში“ დამკვიდრდა. და აი, როცა საქმე თითქოს კარგად აეწყო და თვითონაც კმაყოფილი იყო, ბედმა უმტყუნა და... ეს მუდამ ჯანსაღი ცხოვრებით დაინტერესებული ვაჟკაცი უცებ გამოაკლდა თავის დიდებულ მშობლებს ედიშერ (ევგენი) და მარიამ (ქეთი) დანელიებს, ერთადერთ საფიცარ ძამიკოს, მის ოჯახს, მთელ სამეგობროს და სანათესაოს...

21 დეკემბერს ორმოცი დღე გადის მისი გარდაცვალებიდან. ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაუმკვიდროს ირაკლის ლამაზ სულს!

არასოდეს დაგივიწყებთ, ძვირფასო მეგობარო! ყოველთვის მოგიგონებთ, როგორც ჩვენი საძმოს მთავარ საყრდენს და თვალისჩინს. მშვიდად განისვენე მშობლიურ მიწაში!

**მეგობრები**

# პროკურატურამ ქურდული სამყაროს 63 წარმომადგენელს ბრალი წარუდგინა

**საქართველოს პროკურატურამ „კანონიერი ქურდების“, „ქურდული სამყაროს“ წევრობის, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის და „კანონიერი ქურდისთვის“ მიმართვის ფაქტებზე 63 პირს ბრალდება წარუდგინა.**



შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ „ქურდული სამყაროს“ წევრები, „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერაში ბრალდებულ პირებთან ერთად, როგორც საზღვარგარეთ მყოფი ე.წ. „კანონიერი ქურდების“ დავალებით, ასევე დამოუკიდებლად, მოდავე მხარეების მიმართვის საფუძველზე „ქურდულ გარჩევებს“ სისტემატურად აწყობდნენ და მხარეებს შორის არსებულ სხვადასხვა სახის დავებს განიხილავდნენ.

**სამართალდამცველებმა 49 პირი დააკავეს, ხოლო 14-ს ბრალდება დაუსწრებლად წარედგინა. ბრალდებულებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223 პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა), 223 პრიმა მუხლის მეორე ნაწილით („კანონიერი ქურდობა“), 223 ტერცია მუხლის მეორე ნაწილით („ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერა), 223 კვარტა მუხლის პირველი ნაწილით („კანონიერ ქურდისთვის/ქურდული სამყაროს“ წევრისთვის მიმართვა) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.**

**პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ბრალდებულების ნაწილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეეფარდა, ხოლო ნაწილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით პროკურატურა სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.**

# ღაზაში სიცივის შედეგად კიდევ ერთი პალესტინელი ჩვილი დაიღუპა

**– ამის შესახებ საერთაშორისო მედია წერს. გავრცელებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ ერთი თვის საიდ ასაად აბიდინი ტემპერატურის მკვეთრი ვარდნის შედეგად გარდაიცვალა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ღაზაში ბოლო დროს გავრცელებული სიცივისა და ექსტრემალური ამინდის პირობების გამო საავადმყოფოებში მოთავსების შემდეგ გარდაცვლილთა რიცხვი 13-მდე გაიზარდა.**



ოთხშაბათს, ღაზას სექტორის სამოქალაქო თავდაცვის სამსახურმა გააფრთხილა, რომ ძლიერი სიცივე ბავშვების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, რადგან ისრაელის მიერ ანკლავში განხორციელებული გენოციდის შედეგად, ჰუმანიტარული პირობების გაუარესების გამო ბევრ ოჯახს სათანადო თავშესაფარი და გათბობა არ აქვს.

# ჰაკერებმა PORNHUB-ის პრემიუმ-მომხმარებლის მონაცემები მოიპარეს

**ჰაკერულმა დაჯგუფებამ ShinyHunters მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი პორნოსაიტის Pornhub-ის პრემიუმ-მომხმარებლების მონაცემები მოიპოვა და მათი გამოქვეყნებით იმუქრება. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.**



გამოცემის ცნობით, კიბერთავდასხმის მასშტაბი ამ ეტაპზე დაუზუსტებელია, თუმცა ცნობილია, რომ ჰაკერები გამოსასყიდელ თანხას ბიტკოინებში ითხოვენ და სანაცვლოდ მოპარული ინფორმაციის წაშლისა და მისი გამოუქვეყნებლობის პირობას დებენ. Pornhub-სა და მის მფლობელ კანადურ კომპანიაში Ethical Capital Partners Reuters-ის ჟურნალისტების კითხვებს ჯერჯერობით არ უპასუხეს.



# ლიტერატურული პრემია „ანას“ დაჯილდოების ღონისძიება მწერალთა სახლში



**მწერალთა სახლში კულტურის სამინისტროს მიერ დაფუძნებული ლიტერატურული პრემია „ანას“ დაჯილდოების ღონისძიება გაიმართა.**

**წელს ლიტერატურული პრემია „ანა“ გადაეცათ:**

**მანონ ბულისკერიას** – ნომინაციაში "ქალი პოეტი", კრებულისთვის „ALLA PRIMA“;

**ნინო გუგეშაშვილს** – ნომინაციაში „ქალი პროზაიკოსი“, კრებულისთვის „ჩაი ნანგრევებზე“;

**თეონა ჯიქიას** – ნომინაციაში „ქალი პროზაიკოსი“, კრებულისთვის „UBER-ებელის ზღაპრები“;

**ნათია დათუაშვილს** – ნომინაციაში „ქალი მთარგმნელი“, მარტინა კლავადეჩერის კრებულის – „დაუმორჩილებლობის გამოგონება“ – თარგმანისთვის.

**ნატალია ჩიქოვანს** – ნომინაციაში „ქალის თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოების ავტორი“, კრებულისთვის „90“.

**გამარჯვებულები საკონკურსო კომისიამ გამოავლინა.**

# ხელოვნების სასახლემ „მოხეტიალე მუსიკოსის“ ილიკო ქურხულის ძვირფასი არქივი მიიღო



**18 დეკემბერს ხელოვნების სასახლემ ცნობილი ქართველი ხელოვანის, „მოხეტიალე მუსიკოსის“ ილიკო ქურხულის ქალიშვილის – თამარ ქურხულისგან საჩუქრად მიიღო მამის ძვირფასი არქივი.** ინფორმაციას **გიორგი კალანდია** ავრცელებს სოციალურ ქსელში.

**„კოლექცია 1000-მდე უნიკალურ დოკუმენტს, ხელნაწერსა თუ ფოტოს მოიცავს! ამ განსაკუთრებული შემოწირულების გამო ხელოვნების სასახლე დიდ მადლობას გამოხატავს თამარ ქურხულისადმი“,** – წერს **გიორგი კალანდია.**

# პოეტ ნიკო სამადაშვილის შვილმა ეროვნულ ბიბლიოთეკას მამის არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი გადასცა

**პოეტ ნიკო სამადაშვილის შვილმა ნუგზარ სამადაშვილმა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას მამის არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი, ხელნაწერი ლექსები, წერილები, სხვადასხვა ტიპის ჩანაწერები გადასცა.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლებმა: დარეჯან თეთრაშვილმა და თამარ ხიზამბარელმა პოეტის შემოქმედების ტექსტური ბიბლიოგრაფიის ციფრული ვერსია მოამზადეს (ბმული იხილეთ კომენტარში). უახლოეს მომავალში მათივე მომზადებული კრებული დაიბეჭდება, რომელიც ნიკო სამადაშვილის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს მიეძღვნება. კრებულს დართული ექნება ფოტოები და ბიბლიოგრაფია.

**„ნიკო სამადაშვილი იყო უკომპრომისო ადამიანი პოეზიაშიც და ცხოვრებაშიც. ჩვენ დავიცავთ და გავუფრთხილდებით მის არქივს“,** – აღნიშნა ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურისა და სამოქალაქო განათლების დეპარტამენტის დირექტორმა **ემზარ ჯგერენაიამ.**



# გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებულნი



**15 დეკემბერს კინოს სახლში ჩატარდა მინიატიურის ჟანრში გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული კონკურსის „ერთგულება“ დაჯილდოება.**

ორგანიზატორების ინფორმაციით, ჟიურიმ დაასახელა 3 გამარჯვებული და 5 საუკეთესო ნამუშევრის ავტორები.

**I პრემია - გოჩა ოჩიგავა; II პრემია - თამარ გელიტაშვილი; III პრემია - ნინო ჯალაღანია.**

საუკეთესო ნამუშევრის ავტორები არიან: **თამარ ტაბატაძე, ირაკლი ჩხიკვაძე, თინათინ ლომთაძე, ნინო გუგეშაშვილი, მაია მინდელი.**

# ვლადიმერ (ვოვა) კანდელაკის კიდევ ერთი აღიარება

**დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა, 19 დეკემბრიდან 2026 წლის 1 თებერვლის ჩათვლით, ცნობილი მხატვრის ვლადიმერ (ვოვა) კანდელაკის რეტროსპექტულ გამოფენას უმასპინძლებს.**

ვლადიმერ კანდელაკი 1970-იანი წლების ქართველი მხატვრების თაობის გამორჩეული წარმომადგენელია. მისი შემოქმედება თემატური და სტილისტური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რეტროსპექტული ხასიათის გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მისი მოღვაწეობის თითქმის ყველა პერიოდი: როგორც ნონკონფორმისტული ხასიათის ასამბლაჟები და კოლაჟები, ასევე სიურრეალისტური კომპოზიციები, ეროვნულ-ისტორიული სიუჟეტები – საქართველოს მთის ეპოსი და თბილისური მოტივები.

ვლადიმერ კანდელაკის როგორც ნონკონფორმისტი მხატვრის ჩამოყალიბება XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყება. სარკაზმითა და იუმორით აღსავსე ობიექტებში ხელოვანი ასახავს საბჭოთა რეალობას კომიკურობამდე მისული პროპაგანდისტული ნარატივით.



ვლადიმერ კანდელაკი დაიბადა ქ.თბილისში 1943 წელს. 1971 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია; 1969 -1990 წლებში იყო სსრკ მხატვართა კავშირის წევრი; 1990 წელს მას მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება; 1993 წელს გახდა იუნესკოს ხელოვანთა საერთაშორისო ფედერაციის წევრი; 1999 წელს – თბილისის სამხატვრო აკადემიის დამსახურებული პროფესორი; 2003 წელს მიანიჭეს თბილისის საპატიო მოქალაქის წოდება. 1970-იანი წლებიდან მხატვარი აქტიურად იფინებოდა საქართველოს მუზეუმებსა და კერძო გალერეებში, ხოლო 1990-იანი წლებიდან მისი პერსონალური გამოფენები მოეწყო აშშ -ში (ვაშინგტონი, ფილადელფია, ატლანტა, ნიუ-იორკი), პოლონეთში, ფინეთსა და რუსეთში.

**მისი ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნული მუზეუმში, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში (თბილისი); ზიმერლის ხელოვნების მუზეუმში (ნიუ ჯერსი, აშშ); კრემონას ფონდში (მერილენდი, აშშ); ტრეტიაკოვის გალერეასა და აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების მუზეუმში (მოსკოვი,რუსეთი); აგრეთვე საბჭოთა და ნონკონფორმისტული ხელოვნების ცნობილი მკვლევრისა და კოლექციონერ ნორტონ დოჯისა და სხვათა კერძო კოლექციებში.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„კოლორში“**
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 დეკემბერს**